ელგუჯა ადეიშვილი

ა ი ს ი

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო
აკადემია „ქალდეა - საქართველო“

ელგუჯა ადეიშვილი

(ჩემს ქვეყანაში {ყუმური} ასე თენდება)

ა ი ს ი

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2021

რედაქტორი - თამარ ფოფხაძე

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო
აკადემია „ქალდეა - საქართველოს“
ნამდვილი წევრი, მათემატიკოსი, ინჟინერი

© ელგუჯა ადეიშვილი, 2021
გამომცემლობა „უნივერსალი“, 2021

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com
ISBN 978-9941-33-092-6

პ რ ო ლ ო გ ი

ელგუჯა ადეიშვილის ლექსების მეორე კრებულში „აისი“ (რიგით მეხუთე წიგნი) შევიგრძნობთ უფლის, მამულის, ბუნების, სიცოცხლისა და მოყვასის სიყვარულს.

ბატონი ელგუჯა, მამაპაპათა ღვთისადმი ჭეშმარიტი მრწამსით აღვსილი, მიწიერი ღვაწლის მადლსაა ნაზიარები.

იგი საოცარი თავმდაბლობით გვაზიარებს იმ სათნოებას, რომელიც ღმერთის სიყვარულიდან მომდინარეობს...

ცა, იქუფრება ცა ...
არ გვინდა სხვისი ხმა!
უფლის წყალობას მოველით
სწორედ ის არის ხსნა.
აღმასვლის დრო ახლოვდება
ყინულის დნობის მწამს,
რომ ეშველება ყველაფერს
დიდი იმედი მაქვს.

ავტორი საუკეთესო მამულიშვილური ტრადიციების მიმდევარი და ერთგული მცველია.

მისი ლექსები დიდი ჰუმანიზმით, პატრიოტიზმით, გრძნობიერებითა და მხატვრული ხედვითაა აღსავსე. მათში საოცარი სინთეზია დიდებით შემკული მშობლიური ცისა და მიწის, ქვეყნისა და კუთხის, წინაპარ-

თა ტკბილმოგონების, სიკეთით შემოსილი დიდითა და პატარით, იმედით აღვსილი მომავლის დალოცვით.

სწორედ, ამიტომ, მკითხველი მათი გაცნობისას განიცდის იმას, რასაც კითხულობს, შესაბამისად შეიმეცნებს და გაიაზრებს მათ.

ავტორის, ერისა და მშობლიური კუთხის ქომაგი ადამიანის უდავო ნიჭია - მკითხველი, ასეთი რეზონანსით, დროებით მოწყვიტო ყოფით საზრუნავს და გადართო შენს შემოქმედებით სამყაროში.

ლოცვას ვიწყებ დილიდან,
ქრისტეს გზაზე მივდივარ,
შემიერთდით - გამომყევით,
მაშინ უფრო მშვიდი ვარ,
არ გამოდის თანადგომა?
სხვა გზა არ მაქვს! ...მივდივარ!

დიდება უფალს!

ჩემი შეხედულებით, ლექსი „ანტიკური ქალაქი ვანი“ , არის შედევრი ე. ადეიშვილის შემოქმედებაში. დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს.

გფარავდეთ უფალი ბატონო ელგუჯა, ჭეშმარიტი ქართველობისა და მამულიშვილობისათვის!

თამარ ფოფხაძე.

ვუძღვნი ჩემს შვილიშვილებს:

თინათინ, სანდრო, გეგა, ანდრია
ადეიშვილებს.

გულახდილობა მეორედ !

თავს არ ვდებ პოეტობაზე,
არ ვამბობ, რომ მე „ლომი“ ვარ,
სახლში არ ვამხელ რას ვჭღაბნი,
გარეშეს რაღაც ვგონივარ.

...მწამს რომ გაეცნენ ნაწვალებს,
დღემდე არ უთქვამთ სათქმელი,
არ მოერიდათ დაძრახვის,
ისევ მინთია სანთელი.

ელგუჯა ადეიშვილი

დაიბადა 1948 წელს ვანის რაიონის სოფელ ყუმურში, მოსამსახურის ოჯახში.

1973 წელს დაამთავრა მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტი და მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია. 1996 წელს დაასრულა უნივერსიტეტი „აჭარა“-ს სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

1986-1989 წლებში ირიცხებოდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის, ანალიზის და კონტროლის კათედრის მაძიებლად. 2000-2006 წლებში გაიარა: აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროგრამით განხორციელებული საგადასახადო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული საკვალიფიკაციო ტრენინგები; აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის ეგიდით ორგანიზებული და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები. 2010-2011 წლებში წარჩინებით დაასრულა თავისუფალი უნივერსიტეტის - პროფესიული განვითარების პროგრამა (CBA (Certified Business Administrator)).

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1971 წელს. მუშაობდა სპეციალობით და სხვადასხვა თანამდებობებზე - საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში, ფინანსთა სამინისტროში, საგადასახადო სამსახურში, კონტროლის სახელმწიფო კომიტეტში, კონტროლის პალატაში, საბაჟო დეპარტამენტში, ამჟამად მუშაობს ს.ს.“საქართველოს რკინიგზა“-ს კონტროლის, მონიტორინგის და ინსპექტირების დეპარტამენტში.

მინიჭებული აქვს საგადასახადო სისტემის ოპერატიული სამსახურის კაპიტნის წოდება.

გახლავთ ქტიტორი მშობლიურ სოფელ ყუმურში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობისა.

2010 წლის ივნისის თვეში, ვანის საკათედრო ტაძრის გახსნასთან დაკავშირებით, საჩუქრად მიიღო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისაგან - „საგალობლები“-ს ალბომი, ხოლო შემდგომში საქართველოს საპატრიარქოს, ვანისა და ბაღდათის ეპარქიის მეუფე ანტონისაგან - „სამკერდე ნიშანი“.

2010 წლის 25 ნოემბერს, ვანისა და ბაღდათის ეპარქიაში გამართულ საზეიმო შეხვედრაზე, ელგუჯა ადეიშვილს გადაეცა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის “დალოცვის სიგელი“.

ვანის რაიონის გამგეობისა და ეპარქიის მღვდელმთავრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რაიონის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, 2016 წელს იგი არჩეული იქნა ვანის საპატიო მოქალაქედ და გადაეცა საპატიო სიგელი.

ელგუჯა ადეიშვილი არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა - საქართველოს“ ნამდვილი წევრი, გაზეთ „ქალდეა“-ს სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე.

პუბლიცისტური წერილები გამოქვეყნებული აქვს გაზეთ „ქალდეა“-ს სხვადასხვა ნომრებში. მას ერგო წილად იყოს პოეტი-აკადემიკოსის ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ოცდაათტომეულის, 25-ე ტომის გამომცემლობის რედაქტორი (გამომცემლობა „უნივერსალი“ 2019წ.).

ელგუჯა ადეიშვილს გამოცემული აქვს წიგნები - „ქართული სიწმინდეები“ (გამომცემლობა „უნივერსალი“ 2019წ.), „ჭალასამზიარი“ (გამომცემლობა „უნივერსალი“ 2020წ.), რედაქტორი ვაჟა ეგრისელი. „აკაციის ყვავილობა“ „ილია და...

რკინიგზა კახეთში“ (გამომცემლობა „უნივერსალი“ 2020წ.). მომზადებული აქვს გამოსაცემად - „ჯვარიქედიდან დანახული ჩემი სამყარო“.

ბოლო ხანს გამოცემული წიგნებისთვის „ქართული სიწმინდეები“ და „ილია და... რკინიგზა კახეთში" საქართველოს მწერალთა კავშირმა 2021 წელს ელგუჯა ადეიშვილს მიანიჭა ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია და გადაეცა დიპლომი.

მის შესახებ გამოქვეყნებულია მასალები სხვადასხვა წიგნებში და გამოცემებში:

- „ვანი ოქრომრავალი ქვეყანა“ (ოთხტომეული) (მწერალი საზოგადო მოღვაწე ბადრი სვანაძე, გამომცემლობა ქუთაისი 2012 - 2015წწ.).
- ტომი N3 „ქტიტორი“ (ვანის მუნიციპალიტეტის ყუმურის წმინ- და გიორგის სახ. ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით).
- ტომი N4 მისი მშობლების შესახებ მოგონებები და სარწმუნოებრივ თემაზე ნაშრომი.
– „აღსარება“ (შემოქმედებითი თემა - აკადემიკოსი ანზორ ჯაფარიძე. გამომცემლობა „ივერიონი“ 2015წ.).
- „არ დავიწყება მოყვრისა (შემოქმედებითი და ბიოგ- რაფიული ხასიათის ნაწარმოები - თეიმურაზ ადეიშვილი, იური ადეიშვილი, გამოცემული 2019 წელს).
- ვანის მუნიციპალიტეტის პერიოდული დამოუკიდებელი გაზეთი „საჩინო“ (რედაქტორი ნატო მეფარიშვილი) (ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი მონაცემები რამდენიმე ლექსთან ერთად, 2019 წელი, სექტემბერი, ორი ახალი წიგნის -„ილია და... რკინიგზა კახეთში“ და „აკაციის ყვავილობა“ გამოცემის შესახებ, 2021 წლის აპრილი).
- ჟურნალი „ათინათი“ - წიგნი „ქართული სიწმინდეები“, რამოდენიმე ლექსი (N1 (35) და N2 (36), 2020 წელი).

- ანთოლოგია (ტომი X, 2020 წელი) - რამოდენიმე ლექსი.

ჰყავს მეუღლე - თინათინ გეგეშიძე, უმაღლესი განათლებით (ფილოლოგი); შვილები - კონსტანტინე ადეიშვილი, დაბადებული 1979 წელს, დამთავრებული აქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და შალვა ადეიშვილი, დაბადებული 1984 წელს, დამთავრებული აქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; ოთხი შვილიშვილი.

ა ი ს ი

დილით ნათდება სამყარო,
სიბნელეს შთანთქავს სინათლე,
იწყება მომდევნო ერა,
დაისიც იყო ბრწყინვალე.
ღვთისგან ბოძებულ სიკეთეს,
მზის სხივი თავზე ევლება,
დღე საოცარი ვიხილეთ
არასდროს დაგვავიწყდება.
... მიპყრობს სამყაროს თაყვანისცემა,
აისს მოაქვს საოცარი იმედი,
იმ ოცნებებს, რაც დღემდე ვერ მიპოვნია,
თავდახრილი ველოდები დიდებით.
მითხრეს ყველა სურვილს ავისრულებ...
მზის სხივია მართლაც დარდის მისწრება,
აისია საოცარი იმედი,
აისიდან ყველაფერი იწყება.

2021

დიდი სურვილი

უმთავრეს საგანს, უნდა ვეძებდეთ,
სამშობლოს სიყვარულისთვის,
ბედნიერების მიღწევისა და
ამაღლებული სულისთვის.
მოვუხმობ ყველა პატრიოტს,
ვისაც ეხება ბედი ქვეყნისა,
ვისთვისაც უმთავრესია,
აღმასვლა ჩვენი ერისა.
ვისაც, ყოველთვის აწუხებს,
სამშობლოს კუთხე -კუნჭული,
შეუპოვრობა ბრძოლაში,
რომ არ დარჩება უძლური.
დაუღალავად ებრძვის სირთულეს,
წარმატებების გზებს რომ დაეძებს,
ქვეყნის სიკეთის მიღწევისათვის
პირად ცხოვრებას გვერდზე გადადებს.

თავდადებულ ხალხს, ზე-პატრიოტებს,
ვინც კი აღიქვამს დაკარგულ წამებს,
თვლის, რომ მომავალს უნდა მზრუნველი,
ლოცვით მიმართავს იგი მაღალ ღმერთს.
        რჩეულს, რომელსაც ედაგვის გული,
        მამულის ტანჯვის- ჩამორჩენისთვის,
        ასევე იმას, ვისაც უხარის,
        მისი ლხენისთვის - წარმატებისთვის.
უმთავრეს საგანს, უნდა ვეძებდეთ,
სამშობლოს სიყვარულისთვის,
ბედნიერების მიღწევისა და
ამაღლებული სულისთვის.

2021

შენ!!_მორი

ვაგონი გავიდა ...
დროულად წავიდა,
სამყარო იცვლება
ნამუსი რიგდება.

მზე როცა გაბრწყინდა,
უვიცი დადგინდა,
ვერ შედგა ერთობა,
დრო აღარ გვენდობა.
უმიზნო არეში,
ვანგრევთ მომავალს,
რეგვენის თარეში
გვართმევს მოსავალს.
იცვლება გონება,
გვიანა გოდება,
რა უნდა ცვლილებას,
მოეშვი სხვის ხედვას.

2011

შ ე დ ე გ ი

ჭკუვა უხმარ არს ბრიყვთათვის,
ჭკვა ცოდნით მოიხმარების
დავით გურამიშვილი

... მდინარე მაშინ იმღვრევა,
როცა ურჩხული ჩიჩქნის სათავეს,
იგი მარადჟამს ისურვებს როკვას,
თუ არ წავართმევთ ძალით სადავეს.
მდინარე დაიწმინდება,
დროზე თუ დაწერ განაჩენს,
ურჩხულის თავის მოკვეთას,
ნათლად ვაუწყებთ დანარჩენს.
გვინდოდა სუფთა წყლის ნახვა,
დააგვიანეს მრავალ წელს,
ზიანმა წელში გაგვწყვიტა,
არაფერს ვიტყვი დანარჩენს...

იქნებ დაგვადგეს საშველი,
მიხედონ მტრების სავანეს,
ღელე - ღურდანში დამალულთ,
ნუღარ მისცემენ სავარძლებს.

2021

* * *

თხები !! იპყრობენ სავარძლებს...
გაუფასურდა ურთიერთობა,
დამკვიდრდა ფლობის ჰეგემონია,
რომ არ გაგვიქრეს ბრძოლის უნარი,
უნდა ვიფხიზლოთ - ასე მგონია.

2021

ხევსურეთი

როცა შევიცნობთ ხევსურთ სამყაროს,
მუდამ გვსურს ვედგეთ გვერდით,
შატილში ასვლით უმალ შევიტყობთ,
ძალზე ძლიერი ვხდებით.
ჭიუხებს როცა შესცქერი,
მუხლებზე მედგრად დგები,
არ გაურბიხარ სიძნელეს,
ყველაფერს ნათლად ხვდები.
მოგწონს ხევსურეთში წასვლა,
ბუნებრივად დახლართული გზებით,
მწვერვალებზე ბილიკებით ასვლა,
სულს რომ ათბობ თვალწარმტაცი მთებით.
გულით გინდა ჭიუხებზე ასვლა,
მთელ სამყაროს უყურებდე ხედით,
რომ ლოცავდე ხევსურეთის მიწას,
დიდ-პატარას მამითა და დედით.

იქ გაიცნობ ალალ- მართალ მოდგმას,
ხალხი ძირძველ ლამაზ კუთხეს ეტრფის,
პურს გატეხავს შენთან ერთად როცა,
გულიანად მეგობრობას გეტყვის.
გზად შეხვდები ბარისახოს სანახს,
სივრცეშია- მუცო, ართხმო, კორშა
და გრძელდება ბაბუხნა - გველეთი,
ხევსურეთის ულამაზეს სოფლებს,
მუდმივ ლოცვას არ მოაკლებს ღმერთი.

2021

არის !!!

{დაკნინდა მხედრული სული}

თეკლა გავა-შელს ჩაბარდა ჯარი,
უფალმა მისთვის წაგვართვა ჯვარი,
უნიფხვოს მისცეს მხედრის ხვანჯარი,
ხელშემწყობს ერგო თავშესაფარი.

დაკნინდა ერი, სულით მებრძოლი,
ზეცად ამაღლდა ზარზმელის როლი,
მივიღეთ რისხვა ერთობ სადარი,
თავის დახსნის გზა, არსად არ არი.

2013

ი მ ე დ ი

ცა, იქუფრება ცა ...
არ გვინდა სხვისი ხმა!
უფლის წყალობას მოველით
სწორედ ის არის ხსნა.

აღმასვლის დრო ახლოვდება
ყინულის დნობის მწამს,
რომ ეშველება ყველაფერს
დიდი იმედი მაქვს.

ნუ ვიტყვით დაიგვიანა
გამონათება ჩანს,
სჯობს გვიან - ვიდრე არასდროს,
ცხოვრებას ვანდობთ მრწამსს.

დრო გაბრწყინდება უსაზღვროდ,
შევქმნით იმედის ნავს,
სურვილი არ გაცრუვდება,
ბევრი მსურველი გვყავს.
ცამ, მოიწმინდა ცამ ...
გვეღირსა ჩვენი ხმა,
შემოდის უფლის წყალობა,
ნიშნავს მივიღეთ ხსნა.

დიდება უფალს!

2021

საქართველოს პატრიარქი

ღმერთმა გვიბოძა მხსნელად ილია,
კურთხევა მისცა ერთობ დიდია,
ერის რწმენაში გაძლიერებით,
შეექმნა ზეცის წმინდა ხიდია.

როცა გამოჩნდა ცის კაბადონზე,
ზენიტში იყო ურწმუნოება,
მძლავრმა სამებამ, ჩვენს გასაკვირად,
მალე იხილა ნანატრი შვება,
ხალხი მოთხიზლდა, უმალ შეიგრძნო,
სულიერებას მხსნელი რომ ხვდება.

მშობელთა ვალი- მომავლის ყოლის,
თანდათან გახდა დიდი ოცნება,
სამი და მეტი ბავშვის მონათვლა
უწმინდესისგან ყოველთვის ხდება.
სტიმულს ღებულობს დემოგრაფია,
ხალხის რესურსი ქვეყანას რჩება.
ყველგან შეიქმნა უფლის სახლები-
ეკლესიები და მონასტრები,
აღსდგა სიძველის ბევრი ნიმუში
სალოცავი თუ დიდი ტაძრები.
რუსეთ - ოსეთის საზღვართან,
აშენდა დიდი კომპლექსი,
ტაძრები ანგელოზების
თორმეტს გასცდება! --არ ვცდებით,
წმინდა მამების ლოცვებით,
ხევს გადავკეტავთ ლოდებით...
...ჩვენს სამყაროს მოევლინა,
ვებერთელა კაცი ბრძენი,
შეასრულა უფლის თხოვნა
გამოიღო მხსნელი ხელი.

2019

რ წ მ ე ნ ა

ოცზე მეტი !! საუკუნე მიიწურა,
რწმენის აღქმის, სამყაროში შესვლის,
ქრისტეს შობამ გზა უჩვენა მოკვდავთ -
გარდასახვის, ჭეშმარიტად შეცვლის.
თუმც !! ზოგისთვის არ გამოდგა შეგონება,
გვერდზე დარჩნენ
შემეცნების ხედით, უმეცრებას
ვერ აღიქვამს ყველა,
არ ნანობენ, ამას ნათლად ვხვდებით.
უფლის სახლში !! სანთლით დგანან ზოგჯერ,
ხალხს აჩვენონ როგორ უყვართ ღმერთი,
ცრუ ნაბიჯებს თუ ვერ ამჩნევს ყველა -
კარგად ხედავს დიდი ქრისტე ღმერთი.
სურვილს!! დროზე გაახილონ თვალი,
აღარ უნდათ დააკვირდით ერთი,
რეალობა ფაქტიურად სახეზეა -
მათ რომ არ სწამთ დამლოცავი ღმერთი.

2021

დამცავი ლოცვა

ავანთოთ შვიდი სანთელი,
მუდამდღე გულით ვილოცოთ,
შვიდი ჯვრის დაცვა დავადოთ -
ოჯახს, სახლს, კერას - მიდამოს.
მოწყალებას და მადლს დაველოდოთ -
სულიწმიდისას; მამა ღმერთისას;
უფლისწულისგან; ღვთისმშობელისგან;
ასევე მფარველ ანგელოზისას,
...რადგან ეს ძალა, მუდამ ჩვენთანა -
უნდა გვიყვარდეს სულით მივენდოთ.
ჯვრით დავუკეტოთ შემოსასვლელი -
ავს, უწმინდურს და დიდ ბოროტებას,
გზა ავირჩიოთ სავალად რთული -
და მივაღწიოთ ბედნიერებას.
შვიდ კლიტეს ვადებთ შექმნილ ოჯახებს,
უბედურებებს მის კარს ვუკეტავთ,
ჩვენს დამცავ ძალებს გადავცემთ სახლებს -
სიმშვიდესა და წინსვლას ვუკვეთავთ.

პირველი კლიტით უბედურებას;
მეორით– სიღარიბესა;
მესამით – ცხარე ცრემლებსა;
მეოთხით– ქურდობისასა;
მეხუთით– სნეულებასა;
მეექვსით – ტრაგედიასა;
მეშვიდეთი - კი ვკეტავთ ყველაფერს,
ცუდს ავუკრძალავთ ვნებასა.
ვაერთიანებთ აღქმულ კლიტეებს,
გასაღებს მხოლოდ ღმერთს ვანდობთ,
გვიცავენ წმინდა ძალები,
სულის სიმტკიცეს მივანდობთ.
კეთილი ზრახვით, გზა რომ გავუხსნათ,
ჩვენი სულისკენ, იარონ ... ამინ !!!
დაე, უფალმა მლოცველთა სახლი,
მუდამ დაიცვას მძიმე ავისგან,
ყველას ვუსურვოთ აღმასვლა -
ბედნიერება მრწამსისგან.

დიდება უფალს!!!

2020

დათვიქრდი !!

ღმერთი არიგებს სიკეთეს,
ამას ვერ ხედავს ბევრი,
მინდა იცოდეს ყველა მოკვდავმა,
რასაც იმათთვის ვმღერი...
ვერ აღვიძებენ გონებას,
ადრე იწყებენ ზეიმს,
საგზურს იღებენ კუპრის მორევის
და დარჩებიან... ქვევით.
უნდა დათვიქრდეს ზოგი მათგანი,
მეტს რომ ითხოვენ ვიდრე ეკუთვნით,
ღმერთი სიკეთეს არ სცემს - ზერელედ,
ნულარ ეძებენ, რაც არ ეკუთვნით.
ბრმად მოხდა „მძლეთა" შერჩევა,
არ დაელოდნენ „ღირსეულთა" მარშს,
აჩქარებამ კი შედეგი დადო
გადააჭარბა ყოველგვარ ზღვარს.

ღმერთი არიგებს სიკეთეს,
ამას ვერ ხედავს ბევრი,
მინდა იცოდეს ყველა მოკვდავმა,
რასაც იმათთვის ვმღერი !

2020

ფაქტი ჯიუტია

დილით ადრე გაღვიძებდი-
დამელოცე მინდოდა,
ვერ შევძელი ვერ ვახერხებ...
ვფიქრობ შენაც გინდოდა!!
ინტერნეტი იგვიანებს
გზას უღობავს სანახებს-
დაველოდოთ გვიან მოვა...
საოცრებებს განახებს!!

ობლის კვერი გვიან ცხვება,
ელოდება ჭკვიანი,
ვინც მოითმენს ის მოიგებს
ჯერაც არა გვიანი...
        დილით ადრე მეღვიძება -
        ჩნდება ლოცვის სურვილი,
        ღმერთმა გამარჯვება მოგვცეს
        საქმე გვქონდეს მოვლილი!!

2021

* * *

ლოცვას ვიწყებ დილიდან,

ქრისტეს გზაზე მივდივარ,

შემიერთდით - გამომყევით,

მაშინ უფრო მშვიდი ვარ,

არ გამოდის თანადგომა?

სხვა გზა არ მაქვს! ...მივდივარ!

დიდება უფალს!

1998

დილის მისალმება !!!

მადლობა ღმერთს, ჩვენთვის მომდევნო
ახალი დღის გათენებისათვის

დილა მშვიდობისაო
კეთილ განწყობისაო...
უფლის ძალა გვფარავდეს,
მადლი ღვთისმშობლისაო...
წარმატება გვარგუნოს
ღმერთმა ყოველთვისაო.

(დიდი ხანია)

ე ნ ა დავიცვათ ქართული !!!
თავსმოხვეული სიტყვებით



დაჩაგვრას "ბ უ ლ ი ნ გ ს" ვეძახით,
რა გაგვიჭირდა ძამია,
ქართული სიტყვა არა სჯობს?
ალბათ შენც მოგწონს ძალიან.

“კ ლ ა ს ტ ე რ შ ი“! გავერთიანდით,
არ გავალთ ბრძოლის ველიდან,
ჯგუფი დამცავ ხაზს ავირჩევთ,
ვერ შეგვიტევენ ხვალიდან.

"ლ ო კ დ ა უ ნ ს" თავს ვერ დავაღწევთ,
მიხვდებით რა გზა ვიარეთ,
ჩაკეტვით შევცვლით ამ სიტყვას,
ის მოგვიშუშებს იარებს.

საქმეს მივხედოთ უმალვე,
შეტევას შეჩვეულებმა,
"ქ ე ი სი" უცხო სიტყვაა,
იციან ერთეულებმა…

არ გვინდა უცხო სიტყვები,
ჩვენ ჩვენიც გვყოფნის ქართული,
რატომ ვიტკიებთ თავს ძალით,
არ გვინდა უცხო ჩართული.
“ჩ ა თ ი” ! -ს დრო მართლა არა გვაქვს,
მომავალს მივცეთ გონება,
არ დაიკარგოს **საუბრით**
ზე-ანტიკური ქონება.
საქართველოში **შუაკაცს,**
ყოველთვის ჰქონდა პატივი,
"ფ ა ს ი ლ ი ტ ა ტ ო რ ს" რად ვარქმევთ,
სიტყვა გვაქვს უფრო მარტივი.
აცილება და სიფრთხილე,
ქართველი კაცის გენია,
"ე ლ ი მ ი ნ ა ც ი ი ს" ხმარება,
ქართული ენის გერია.
“ლ ე ტ ა ლ უ რ” ! განაჩენზე ფიქრს,
გადავაჩვიოთ ... უცხო მოძღვრები,
თავად მივხედოთ **სიკვდილის** კერებს
ჩვენვე მივიღოთ მკაცრი ზომები.

“ლ ა ი ქ ი” ! უნდა ყველაფერს,
რაც ჩვენს მხარეს არგებს მარად,
ყველა მსურველს ნუ მიუშვებთ
მოსაწონად - მთად და ბარად.
“გ ა შ ე ა რ ე ბ ა” ! ყველაფრის,
არ მთავრდება სასურველით,
გავიზიაროთ ჭეშმარიტება,
საიდანაც კეთილს ველით.
„ს ე ნ ს ი ტ ი უ რ ი“ ! მიდგომა -
ხშირად გვაძლევს მაღალ შედეგს,
მგრძნობიარე, ღრმა ჩაწვდომით,
ვეღარ გვავნებს მტერი ზედმეტს.
„კ რ ე ა ტ ი უ ლ“ ! ხალხისათვის,
უფალს ჰქონდეს შეწყალება,
შემოქმედი მუდამ იდგეს
სამყაროში მწვერვალებად.
„ა რ ტ ი“ ! არ არის ახალი,
იგი ანგრევს ენის საზღვრებს,
ხელოვნება არის უფლის,
ნუღარ მივცემთ მახინჯ სახეს.

„ნ ა რ ა ტ ი ვ ს“ ! დაცვა სჭირდება,
ისე როგორც მტკიცე ფიცსა,
ნათქვამ სიტყვას ვინც უარყოფს,
კარგავს რწმენას დაცულს ღვთისგან.
„კ ო ა ბ ი ტ ა ც ი ა ს“ ! სჯობს,
ყველას მოვარგოთ სათქმელი,
ჩამოვიცილოთ დროულად,
არ გყავდეს საქმის ამრევი,
თანაცხოვრებამ ის მოგვცა -
მთლად შეგვაძულა ტანდემი.
შევინარჩუნოთ ენა ქართული,
მისი ფესვები უძველესია,
აღარ დავუშვათ სხვებთან ტყვეობა,
ჩვენი დავიცვათ უმჯობესია.

2020

„დილაადრიან, ასე არქვი საკუთარ თავს: დღეს შევეყრები აბეზარს, უმადურს, მზვაობარს, გულღრძოს, მოშურნეს, მზაკვარს. ყველა ამ ბიწით უმეცრებამ შემოსა ისინი, უმეცრებამ კეთილისა და ბოროტისა... ჭეშმარიტად აღარ ძალმიძს რაიმე ვივნო რომელიმე მათგანისაგან, რადგან აღარვის ხელეწიფების სირცხვილეულ-მყოს ამიერიდან; აღარ ძალმიძს შევრისხო და მოვიძულო ჩემი მოყვასი, რადგან ჩვენ თანამშრომლობისა და თანამოღვაწეობისთვის ვართ შექმნილნი, როგორც ხელები, ფეხები, ქუთუთონი, ზედა და ქვედა ყბები. ამიტომ ურთიერთ წინააღდგომა ბუნების წინააღმდეგ აღძვრასა ნიშნავს“.

ფილოსოფოსი, რომის იმპერატორი
მარკუს ავრელიუსი

მადლიერების დღისადმი !!

მადლობა ყველას... ვინც **“უარი მითხრა”**,
“მიღალატა“, თუ **“ცილი დამწამა“** !
გულდაწყვეტილმა შევხედე შედეგს,
მე არ ველოდი ამას…
ურთიერთობას ვერ დავარქმევდი -
მზაკვრობასა და თამაშს.

სიკეთე მსურდა, მან კი მიმტყუნა,
მიმუხთლა როგორც მტერმა,
ცუდს ვერ შემყარა დროზე მივუხვდი ...
ეს გამოსცადა ბევრმა.

“აღარ მიმიღო“ -და **“არ დამინდო“**,
“არ დამაფასა“ ერთგული,
გულით მიძღვნილი -კეთილი საქმე
“არ დამიფასა“ მემდურის !

თუმც, რეალურად - "დიდება უფალს" !!
მეძლევა ძალა - ფასიც მეგზურის,
მალევე მოხდა, ვიპოვე "ლომი" –
რომ არასოდეს ვემდური.

“გამჭორა“, **“ფეხი დამიდო“** -
“გული მატკინა“ ძალზე!
გამიმეტა და კიდეც გამწირა,
დამტოვა შუა გზაზე.

“უსამართლოდ მომექცა“, თუ-
“ალმაცერად შემომხედა!“
არ უნდოდა, მაგრამ მაინც
ბედის ბორბალს შემახვედრა.

“იმედი გამიცრუა“ თუ-
“შეურაცხყოფა მაყენა“ !
შემეშვა, დროზე დამშორდა,
ეშმაკის ფეხზე ნამყენმა.
მადლობა ყველას !! ვინაც კი,
“ჩემს ოქროს "ისე" გახედა,
ბიჟუტერია ირჩია სხვისი“,
კეთილ სამყაროს ვეღარ ჩახედა.
ჩამოუბნელდა თვალთხედვა,
“ჩემს საქმეს ნდობა არ მისცა,
სხვისი სიტყვისა იჯერა“,
არსების აზრი დანისლა.
“კეთილმოსურნედ გამეცნო,
თუმც **ჩემი მტერი აღმოჩნდა“**,
აღარ უშველა ჩარევამ
ეს მოკლე ხანში გამოჩნდა.
მადლობა ყველა -**“უმადურს“**,
“შურიანსა“ და **“მლიქვნელსა“**,
უყურადღებოდ არ ვტოვებთ-
“ორპირს“, **“ბოროტს“** **და “პირფერსა“**.

გიცანით, ყველა გამოდით!!
მადლირების დღეს,
თქვენთან შეხვედრა მომინდა,
თვალში ჩაგხედავთ ბევრს!!
მადლობა მინდა მოგიძღვნათ,
ფასდაუდებელ გარჯისა,
რომელიც ჩემთვის გასწიეთ,
ვერ შეგამჩნიეთ გზად სვლისას.
მიბიძგეთ! მუდამ მეზრუნა,
საკუთარ თავის დაცვისა,
კარგად მასწავლეთ გარჩევა -
ცუდის, კარგის და ავისა.
მარწმუნეთ, რომ სხვას თქვენსავით,
არასდროს უნდა მოვექცე
და თქვენ ასეთებს, მუდმივად
არ დაგემსგავსოთ - გაგექცეთ....

2020

ცხოვრების მასწავლებელი !!

ყველა მოსწავლემ იცოდეს:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო
დავით გურამიშვილი

როცა ვიხსენებ სკოლაში შესვლას -
მიმაცილებდა ჩემი გამზრდელი,
არ ვიცოდი და იმას ვფიქრობდი,
ვინ იქნებოდა ჩემი აღმზრდელი.
მასწავლებელი სკოლაში -
ჩემთვის უცხო და ნათელი,
ასე მეგონა ის იყო,
განსხვავებული დამცველი.
ჭამდა, სვამდა თუ შრომობდა,
აღარ ვიცოდი ამდენი,
ჩვეულებრივი რომ იყო -
დიდხანს დამჭირდა გზამკვლევი.

* * *

სულის ამაღლების კიბე
სკოლა არის - ცნობილია,
სულიერების მესაჭე
თავად მასწავლებელია.
არ ვეცადოთ ბავშვის გაწვრთნა,
არამედ უნდა აღვზარდოთ,
თითოეულს აქვს თავისი გზა
სირთულე - რომ აღარ ნახოს.
ნუ აურჩევთ პროფესიებს,
თავად ირჩიონ ასე სჯობს!
ზედმეტ დატვირთვას ნუ მივცემთ,
სწორი აღზრდა ხომ ამას გმობს?
საგნები, რაც ისწავლება
არასწორი სტანდარტია,
სიცოცხლე არ გააჩნია,
ვალის მოხდით - სასწავლია.

განვითარებას სჭირდება
ფიქრი, იდეა, აზრები -
პასუხი გამზადებული,
არ მივცეთ - ცუდად განაწყობს,
თუმც ბავშვს მოვექცეთ ყოველთვის,
როგორც ჩვენსავე თანასწორს.
გთხოვთ ! ემეგობროთ ჩვენს აღსაზრდელებს,
როცა იწყებენ კიბეზე ასვლას,
არ უღალატოთ მომავლის იმედს,
არ დაველოდოთ ჟამთა სვლის გასვლას.
მოვძებნოთ გზა ღმერთისაკენ,
და გავხდეთ ჰუმანურები,
აღვზარდოთ კარგი თაობა
გავულამაზოთ სულები.
ფაქტია, ცოდნა მკვდარია,
არც კარგია და არც ცუდი,
მთავარი მაინც ის არის,
ვის ხელში არის ეს ფუნჯი.

საგნებთან ერთად გზა მივცეთ,
მარად უშრეტი კეთილი,
ხოლო შემდეგში ვაჩუქოთ -
ცოდნა უსაზღვროდ ულევი.
მოდის თაობა ახალი,
პედაგოგიკა ძველია,
ახალი ღვინო ძველ ტიკებს ხეთქავს,
იგი არც ისე ძნელია.
სკოლიდან ღმერთი გაუშვით -
ჩუმად მოხდა, უცნობი გზით,
საუბრის კურსი შევცვალეთ,
არ ვკითხულობთ შვილს როგორ ვზრდით.
თემა მხოლოდ ერთი გახდა -
როგორ სწავლობს ,, ჩემი შვილი ",
გვინდა რომ ამოვისუნთქოთ -
მიდგომაა ჩამოშლილი.
აღზრდაც გაუშვით სკოლიდან,
შემოგვრჩა მხოლოდ სწავლება,
შევეშვათ ამდენ რეფორმებს!
მოგვწყინდა, ტანჯვა-წვალება.

საკუთარ თავთან მიუშვით,
ეს საოცარი ბავშვები,
გაკვეთილებთან ერთად მოვკითხოთ ...
რა უყვარს, რა უხარია,
რასა გრძნობს, სული !!-თვალები !!
ყოველდღე საჩუქრით შეხვდით,
მიართვით გაკვეთილები,
გაოცების გზა უჩვენეთ,
რომ შეგიყვარონ - ვითარც მშობლები.

{გამოძახილი შალვა ამონაშვილის მოწოდებიდან}

2020

ქართული ნაციონალური ბალეტი - "სუხიშვილები"

სამოცდაათ წელს გადაცდა,
რაც კი შეიქმნა ანსამბლი,
მისი გაჩენის შესახებ
გვაქვს ისტორია - ნადავლით.

დიდი ილიკო-სულით მებრძოლი,
და ნინო - ქალღმერთს სადარი,
სუხიშვილებმა- რამიშვილებმა,
ფოლკლორს შეუქმნეს მყარი სადგარი.

ანსამბლი ერის სიამაყეა,
მისი აწყმოთი - წარსულით,
"მოდერნ - ბალეტის" შექმნის გზით,
არ მოხდა მკვეთრი ცვლილება,
წარმოდგენილი ცეკვებით
ძირძველ ფოლკლორს არ სცილდება.

დღიდან შექმნისა - მალე აფრინდა,
საზღვრებსაც გასცდა კავშირის,
ოცდახუთ წელში არგუნეს-
აკადემიის სტატუსი.

ასეულობით ტურნე მოაწყვეს,
იგი მოიცავს ყველა კონტინენტს,
ოთხმოცზე მეტმა ქვეყანამ ნახა,
ოციათასზე მეტი გამოსვლით,
მილიონობით ხალხმა იხილა,
ანსამბლი ცეკვის ძველი სამოსით.

წილად ხვდა ბედნიერება,
პირველს ეხილა ლასკალას სცენა,
იგი ამ დიდი წარმატებისთვის,
დღემდე მუდმივად პირველი რჩება.

ცეკვა ქართული მწვერვალზე ასვლა,
ეს არის დიდი ზეობა,
ამ ხელოვნებამ ქართულ კულტურას
არგუნა კეთილდღეობა.

წყვილთა ღირსების აღმასვლას,
აღარ აქვს განმეორება,
უბადლო არის მთელ სამყაროში
ნიჭიერების გამოვლინება.
    დახვეწილია უზადოდ
    შეთამაშება ნარნარით,
    წყვილების მიახლოვება
    დაცული არის სადავით.
ოსური ცეკვის მანერამ,
მოძმესთან შექმნა დიდი ღირსება,
გაითავისა ურთიერთობა,
უკვდავი გახდა ქება -დიდება.

    ათხაზურ ცეცხლოვან ცეკვას,
    მუდამ ეთმობა ადგილი,
    წარმოადგინო ნატიფის სახით,
    მართლაც არ არის ადვილი.

უთვალავია მათზე სათქმელი,
უამრავია მათი გმირობა,
ამჟამად ასე შემოიფარგლა,
ჩემი სათქმელი -რაც მე მინდოდა.

2021

ზრუნვა აკადემიაზე

{"ფაზისი"}

აკადემიკთა ძლიერმა ჯგუფმა,
ბჭობა მოაწყო, ლამაზ - მუხნარში,
კეთილი საქმის მხარდაჭერაზე,
ბრწყინვალე იყვნენ რწმენის გუმანში.
"ფაზისში", უკვე არ გახლდათ -
ნდობით აღქმული მმართველი,
თხოვნით მიმართეს - ვაჟა ეგრისელს,
აენთოთ მისთვის ნდობის სანთელი.

პრეზიდენტობის შეთავაზებას,
"უარით"რომ შეხვდა თვით ეგრისელი,
უმალ დაიწყო აზრის განხილვა,
გუნდს დაეთანხმა სწავლულთა ქსელი.
მოთხოვნა დარჩა ძალაში,
არჩევა ხდება რჩეულის,
ოქროს ვექსილით გაფორმდა წინსვლა,
იგი მუდმივად მის ერს ეკუთვნის.
ფაქტი საქვეყნოდ გაცხადდა,
გარჯა ეხილათ მტკიცე მეურნის,
თანხმობა იყო ყველა კუთხიდან
მხარში დადგომა იწყეს - მეურვის.
შედეგმა არ დააყოვნა,
სიბრძნემაც უმალ ძეგლი აიგო,
საქმეს შეუდგა აკადემია,
მწვერვალებისკენ გეზი აიღო.

2020

ვერიდოთ!

რეგვენი -წიხლით!
მისთვის მიუშვით,
ნულარ გავკიცხავთ,
ხელს - ნუ შეუშლით.
უწიგნურს - საშიშს!
რად "ვარგებთ" ტაპიკს,
ჯობს რომ განათლდეს,
ნუ ვამტვრევთ თავპირს.
გულღრძოს - გაუთლელს!!
გზა თუ დაუთმეთ,
არ ღირს - დროს კარგვა,
შუქს თუ აუნთებთ.
ბოროტს ამაზრზენს !
ნულარ დავარბევთ,
შორს იყოს იგი -
გაყვეს თანამდევს.

ურცხვს- უსინდისოს!
ჯიშით "გადამხმარს",
არ უნდა ვთვლიდეთ
როგორც - დასამხარს.
ჩამოთვლილთაგან !!
ვიღებთ რაღაც დარდს,
ნუ ჩავთვლით კასტას -
"ტანდემს" , "ავანგარდს",
დროზე დავარქვათ
ყველას სახელი,
უფალს ავუნთოთ
წმინდა სანთელი.
ნუ ველოდებით
მათგან სიკეთეს,
ამას უფალი
აღარ ინებებს.
რეგვენი -წიხლით!
მისთვის მივუშვათ,
ჩვენთვის ასე ჯობს,
და !!! - არაუშავს...

უნდა ვეცადოთ
გასავლელ გზაზე,
დიდი შეცდომა -
რომ არ დავუშვათ.

2017

ეხება ნაწილს !

ხალხთან დადგომას - მისი წესი აქვს!!
უნდა იცავდე კაცობის ნორმებს,
გადააბიჯებ ჭეშმარიტებას ??
უმალ მიიღებ გაცრეცილ დონეს.
ზურგის შექცევის, ქსელს რომ
დახლართავს,
ბოროტების გზას მყარად ამაგრებს,
ყველას ვალია ნაძრახის სახე,
არაფრით გასცდეს - დახშულ დარაბებს.

ვერაგს - უზნეოს უნდა მიეზღას ...
მისი არსება - "სხვის ზურგს" ვერ გასცდეს,
ეშმამ შეუვსოს მახინჯი სული,
სამყაროს მიღმა - უფსკრულში დარჩეს !!
ზურგის შექცევის დიდოსტატი ... რომ ხდება
კაცი,
სულიერების სამყაროში დიდია მარცხი,
თავის დაღწევა უზნეოსგან - ეს არის ღვაწლი,
გაითავისა?? დარჩეს ბნელეთში... –
რა ეშველება?? იფიქროს "ა წ ი" ...

2021

ს ა ბ რ ა ლ ო !!

მძინვარებს სულის სიმდაბლე -
აღარ ემჩნევა სიკეთე,
უგნურება რომ ჯიუტობს,
უვიცი - სოროს იკეთებს.

აღარ ჩანს დიდი იმედი,
საღი გონება ღალატობს,
ეძებოს გამოსავალი -
იცის ბოროტი დარაჯობს...
საბრალომ ნახოს ფიქრის დრო,
ეძებოს გზები სავალი,
იქნებ შეიგნოს რა ხდება -
იპოვოს გამოსავალი.
მძინვარებს სულის სიმდაბლე -
მართლაც ვერ ხედავს სიკეთეს,
უგნურობს ჯიუტი გახდა,
უღირსის ბუდეს იკეთებს.

2018

საცნობი !!

შენ, რომ ითვლები ლექსის მკითხველად,
სხვა ვერ აღიქვამს -კითხვა არ იცის,
ნუღარ დავძრახავთ, ცოდვას ნუ ვიდებთ,
იქნებ ისწავლოს დრო თუ დაიცდის.
ზოგადად კითხვა მრავალს არ უყვარს,
ზოგიც კითხულობს - მძიმედ განიცდის,
მძვინვარებს ბოღმის ჰეგემონია,
გული ეწვება - რა ქნას არ იცის.
ტორტმანებს მტრობის ეპიდემია,
ცხვარი აპირებს მგელი გაგუდოს,
აღარ შედგება ეს შერკინება,
ბრწყინვალედ ხომ სჩანს - მგელი სად ბუდობს?!

2021

ღირსი

კისერს ის იმტვრევს ყოველთვის,
ცოდვა ვინც იდო დიდი,
დაუზიანდა ფსიქიკა,
საქმე უკულმა მიდის.
    რაც გინდა ხეხო ყორანი,
    არ გათეთრდება ქვიშითა,
    გინდა იხილო მსგავსება?
    არკვიე, ამა ნიშნითა!

2008

შარლატანი !

ცხოველს გევხარ ნაძირალავ,
ასჯერ შეიცვალე კანი,
შეგისწავლეს ყველა ნიშნით
და გიწოდეს ! შარლატანი.

ჭკვა -გონება არ გაგაჩნდა,
მთელი ცხოვრების მანძილზე,
შენ რომ ფიქრობ რაღაც იცი,
ის შორსაა - სხვა ადგილზე.

კაცი გერქვა, "არა" დარჩი,
რეგვენი ხარ ქვეყანაზე,
სამყარო შემოიარე,
საუკუნე გჯიჯგნეს გზაზე.

მარილზე წასვლა მოგიწევს,
მიწის ნაცვლად ირგებ ნარჩენს ,
სიცოცხლეში ნაგავს ჭამდი,
საიქიოს შეჭამ სარგებს.

იქეთ, აღარ მოგაკლებენ,
ნაგავია თუ ფეკალი,
გულზე ვარდი არ იხარებს,
შენთვის მადლია ეკალი.

2021

გონჯი

ხშირად ელტვოდა მრუდე გზას,
ნაცნობს - უცნობს თუ სხვა კაცებს,
ყველა დონეზე გაქაჩა,
შეესისხლხორცა "ძმაკაცებს".
ერთხელ ლხინიც გადიხადეს,
შეიკრიბნენ - ხალხი - "შლეგნი",
წყვილად ისხდნენ შუქ-ჩრდილებში-
ბახუსს იტარებდნენ ყელში.
შესანიშნავ გარემოსთვის,
ბარი შეარჩიეს წრეში,
ერთურთს ისე ჩაეხუტნენ,
ვეღარ იგრძნეს წვიმა - თქეში.
ღამისთევა გადაწყვიტეს,
მიაღწიეს ლხინის ეშხით,
ერთობ დაიკიდეს ყველა,
გააგრძელეს სუფრა ნებსით.

ახლობლები შეიშალნენ,
თმებს იწეწდნენ სხვისი ხელით,
ვერ განსაზღვრეს „ბაჭიებმა"
ყელს იჭრიდნენ ბასრი ხერხით.
ვერ აკონტროლეს მობილურები,
იქ ტლაშა- ტლუშის მქნელებმა,
დაღუპეს მძიმე ბახუსმა
და შერჩეულმა მხსნელებმა.
თვალთმაქცობას ნუღარ იტყვი,
თემაზე ყველა კანკალებს,
როგორც გინდა შეკითხოდი,
წამში აქრობდნენ ნაკვალევს.
თუ დასჭირდათ? გაგიმეტებს,
ჩასაგდებად ციხეში,
ვერ გიშველის საძმო მხარე
შენს მშობლიურ კუთხეში.
სჯობს, რომ გვინ გამოფხიზლდეთ,
აირიდოთ დებოში,
სანამ გეტყვის მეგობრები,
რა გინდოდათ დეპოში.

თქვენ, ხომ, ოცნების კოშკი დაგიდგეს,
რაც უგნურობით გადაანგრიეთ,
ნამდვილად ვიცით, ანდერძს მიიღებთ,
თუ სხვა დეპოში არ შეგანჯღრიეს.
კიდევ ბევრია სათქმელი,
მომენტ ჩამქრალა სანთელი,
ცოტა ხნით თვიქრი სჭირდებათ,
რომ დაგილაგონ თვაქტები.

2009

ინტერვიუ ცნობილ რეგვენთან

ჭკუა არ მყოთვნის, საქმე არა მაქვს,
ვინ „წავაქციო" გათვლაც არაა,
ჭიქა ღვინისთვის მიწაში ჩავალ,
არ გაგიკვირდეთ -სხვა გზა არა მაქვს.

„მხეცებისგან" დაქანცული
მე ვარ „კიკუტა ნოლიძე" ,
ათი წელი ჯვარზე მაცვეს
არ დამაძინეს ლოგინზე.
საქმეს მომაგდეს, თბილსა ამასა,
უნდა მივხედო ხროვას - „ამათსა".
ეშმაკმა არ ქნას, გაქრეს მფარველი,
რომ დავეძებდე სხვა რამეს,
თბილია ჩემი ადგილი
ვმღერივარ „ჰარი-ჰარალეს".
მიყვარს სხვისი საქმის ქექვა,
ყველაფერზე ძალიან,
მედუქნესაც ვუყვარვარ -
„შეფებს"!!! -როცა მთვრალი ვარ.
მინდა, კაცს ვგავდე, აღარ გამომდის,
ნამუსის ქეჯნა... ისე არ მოდის.
კეთილ საქმეებს, სჭირდება ძალა,
რაც ჩემს ქცევაში არასდროს არა!

2009

არ მეშინია სათქმელის!!!

ხშირად!! როცა წამოვდგები ზეზე,
სურთ მიმაბან ძელქვის ხეზე,
ჩლუნგებს, არაკაცებსა და ბეცებს -
არ მოვისვამ ახლოს გვერდზე.
...სიბინძურით სავსე სულით,
ეშმაკის გზით შემოსულნი,
საკადრისად რომ არ დავხვდით,
ამიტომ ვართ „მარტო სული".
ურჩობაში დროს ვატარებ,
ცივ ნიავსაც არ ვიკარებ !!
უზრდელების გადმონაშთებს,
მარტო ვებრძვი - ურდულს!!, კარებს!!.
არ შევწყვიტავ ჭიდილს მათთან,
შევახსენებ ტყუილს მრავალს,
წესს ავუგებ საკადრისად
არ დავზოგავ, ურჩებს - არსად!!.

ერთსაც გეტყვით, გეფიცებით,
მე გავარჩევ მტყუანს და მართალს.
...ეცდებიან ჩემს წაქცევას??,
ვერ ასცდებიან გაქცევას!!

2003

ემიგრანტები

ემიგრანტების სამყარო-
ბანკებმა შექმნეს დიდებით,
მთლად უფრო უარესს მივიღებთ
თუ კიდევ არ დავფიქრდებით.
კაბალურ ნიხრის დადებამ,
სესხი გახადა უძლევი,
ვეღარ მოხერხდა ვალის დაფარვა,
ბანკებმა იწყეს ბრძოლა ურყევი.

საცხოვრებელი სახლ-კარი,
ხელში ჩაუგდეთ მევახშეს,
ქუჩაში დარჩა დიდი- პატარა,
პირად ქონებას ხელს ვერვინ ახლებს.
თანმდევმა უსაქმურობამ,
გზა გაუკვალა ცრუ დანაპირებს,
მკვეთრად შეცვალა ცხოვრება,
იწყო ოცნება ვინ სად გაფრინდეს.
საზღვრიდან გასულთ დასჭირდათ,
ახალი "ყოფა"- ცხოვრების,
მიუღებელის შეჩვევა,
ტანჯვა - წვალება როდემდის?

2007

ტარიელ ხარხელაურს

{ერის სიამაყე}

კაცი, ცოცხლობს და ხარობს,
როცა შეიგრძნობს - ქარს,
თვალუწვდენელ მთებს, ნისლებს
გაფანტულს,
ბედნიერებით შემოსილ ხალხს.
ცხვარში წასულს რომ წვიმა მოუსწრებს,
წვიმა - ქარბუქი აიკლებს მთას,
ნაბადმოსხმული, გამარჯვებული,
მუდამ ლაღად გრძნობს თავს.
როცა აქებენ განიცდის,
პოზიცია აქვს თავრიდის,
ყველას წინ უდგას მედგარი,
შემტევი დიდი მხედარი,
არ სურს დააგდოს კალამი
ღირებულს ეძებს სადარი.

უყვარს თაობებს და აფასებენ -
მომავლისათვის ხვალის იმედი,
დღევანდელების უკვდავი მოყმე,
ღირსეულია - დადის დიდებით.
მისი სიმაღლე ლექსებში არის,
უყვარს ფართო წრეს, არც ვინ ემდურის,
თავმდაბლობა და მებრძოლი სული,
ყოველთვის არის მისი მეგზური.
ფიქრობს, რომ მკითხველს მოუბოდიშოს,
რადგან შეიგრძნობს უზღვავ სიყვარულს,
მისი ღრმა რწმენით დიდი მიგნებით,
ეს ტვირთი იწვევს ულევ სიხარულს.
სწორედ მან, უთხრა გარდაცვლილ
პირმშოს,
ღამის წყვდიადით სულშეხუთულმა -
"არ მომერიდო, კარს ვტოვებ ღრიჭოდ,
და როცა გინდა მოდი, სახლში ვარ...“
სასოწარკვეთილს მეტი რა ეთქვა,
მსგავსი ამ ქვეყნად - არვისგან თქმულა.

კაცი, ცოცხლობს და ხარობს,
როცა შეიგრძნობს - ქარს,
თვალუწვდენელ მთებს, ნისლებს - გაფანტულს,
ბედნიერებით შემოსილ ხალხს.

2020

კაცი ბრწყინვალე
{ხოზე ადეიშვილს}



გვარგუნა ადეიშვილთა გვარს,
ორდენი მტკიცე - ღირსების,
მედგარმა ხოზემ ამაყმა,
დიდი მწვერვალის მიგნების.
ლექსების შექმნა ადრე დაიწყო,
ცნობილი გახდა მკითხველისათვის,
მისგან ნათქვამი სიტყვების კონა -
საბაბი დარჩა სიმღერისათვის.

სამოც წელს რომ მიღწეულა,
თბილად ულოცავთ, მწერლებს - პოეტებს,
საქვეყნოდ ცნობილ კეთილ კაცს,
დიდი პატივი მიაგეს.
მრავალი წელი მოღვაწეობდა
მწერალთა გუნდში - "ლომთა" კავშირში,
დიდი სახელით, პოპულარობით -
ის ყველგან იდგა- მაღალ ხარისხში.
ღმერთმა დალოცოს კაცი "მოვლენა",
მეგობარი და მასწავლებელი,
ჭირში, თუ ლხინში გვერდში მდგომელი -
ყველა სიკეთის მატარებელი.

2017

აისი მსხალთავაკის მიმდებარე
მთის მწვერვალიდან

აისით ასე ნათდება
ნაკოტრავას მწვერვალი

მადლობა სოფელ ყუმურის მკვიდრს შმაგი თვალაბეიშვილს, სოფლის აისის ფოტოების მოწოდებისთვის.

კეთილი

{ქეთევან ადეიშვილს}

კულტურულ მემკვიდრეობას -
აგრძელებს ქალი ჭკვიანი,
მადლიერების გამოთქმა -
არასდროს არის გვიანი.

მშობლისგან მოდის ყოველი,
მოწმეა უფლის ხიზანი,
ჩვენი კუთხისთვის ასრულდა -
ფიქრი, ოცნება, მიზანი.

ქალი მესაჭე, ქალი ძლიერი,
პატარებს არგო თვალსაწიერი,
კულტურის კერებს ბურჯივით უდგას,
ტრადიციულსაც მისცა იერი.

თეატრი არის მისი ცხოვრება,
მომავლის აღზრდა - დიდი მიზანი,
ბავშვებს შეუქმნა სულის სამყარო,
აღმზრდელი გახლავთ სამართლიანი.

კულტურის ზეცად აყვანის,
თუ გვყავს ქალღმერთი „თალია“,
ქეთევანს, დიდი ღვაწლისთვის,
ეწოდა ღირსი ქალია.

2021

სახელოვანი

{ ვლადიმერ (კახა) ადეიშვილს}

განათლებულთა სამყაროს შვილი,
კაცი მომავლის მართლაც იმედი,
იგი პირმშოა ყუმურის მხარის
დიდხანს ვეძებდით - ლომთან მივედით.
ზეინდარში დაიბადა,
ამ კუთხეში გაიზარდა,
პედაგოგთა ოჯახიდან
წვრთნა მიიღო ცოდნის გარდა,
მათემატიკის მწვერვალებს,
შეეჭიდა - შემძლე გახდა.

ჯიშ -ჯილაგში მრავალი გვყავს,
ერისა თუ მოდგმის კაცი,
სასახელო პიროვნებას
მუდამ ვეძებთ წმინდა სანთლით.
დრო გამოუყო ცოდნის შეძენას,
მაღლა ავიდა მწვერვალზე,
ჯილდოდ მიიღო ღრმა უნარ - ჩვევა,
პროფესორობით ამაღლდა სხვაზე.
აკადემიის კედლებსაც მიწვდა
ამ კაცის დიდი სახელი,
სწავლა-აღზრდისთვის აანთო,
მცოდნის - მებრძოლის სანთელი,
მომავლის განათლებისთვის
გზა გახსნა - მართლაც ნათელი.
ათვასებენ ვანის თემში
სახელის და დიდებისთვის,
"საპატიო მოქალაქე"-ს,
საამაყო თვისებისთვის,
ღირსეულ კაცს უწოდებენ
თავაზიან მიღებისთვის.

ოჯახს უძღვება ტრადიციულად,
შვილებს გზას უკვლევს მედგრად,
იგი ასე თვლის მომავლის აღზრდა,
დიდი საქმეა - ყველაზე მეტად.

2018

მარინა კორძაძეს

ქალი ბრწყინვალე - ქალი ძლიერი,
გვერდში მდგომი და ზე-ზომიერი,
ქალი რჩეული- განსხვავებული,
აზრიანი და წარმატებული.

დახმარებაში მწვერვალზე მდგომი,
შორსაა მისგან ხვალ-ზეგ შემოდი,
უკან დახევა მას არ სჩვევია,
მიღწევები აქვს - "რომ არ ელოდი"...
მეგობრობაში შეუდარებელს,
სანთლით ვეძებეთ, სხვას არც ველოდით.

პატივს მივაგებ მის ძლიერ ფესვებს -
წარმოშობითა იგი ვანელი,
ავტორიტეტით განთქმულ არსებას,
ხალხში წონა აქვს ასი "ბარელი".

სანიმუშო ჰყავს ოჯახი -
მიმართულება სიმტკიცის,
ღმერთმა დალოცოს მარინე,
სიკეთისათვის-რომ იბრძვის.

ქალი ბრწყინვალე - ქალი ძლიერი,
გვერდში მდგომი და ზე-ზომიერი,
ქალი რჩეული- განსხვავებული,
აზრიანი და წარმატებული.

2020

გივი სიხარულიძეს

{კაცი ძლიერი}

კაცი!! იშვა ბრძოლისათვის,
მოძმეთ გვერდში დგომისათვის,
ცხოვრების წესის დამცველი,
გულწრფელი მასწავლებელი.

კაცი!! ლეგენდა ძლიერი,
ქცევაში ზე- გონიერი,
ყველასგან გამორჩეული
შემტევი, თუმც - ზომიერი.

უნარ -ჩვევებით, მწვერვალზე მდგომი,
სამყაროს შვილი სხვებზე ხნიერი,
მიზნის მიღწევის უშრეტი წყარო
მოუსვენარი - სინდისიერი,
მაგალითს აძლევს ახალ თაობას,
ვინაც უსმინა - გახდა ძლიერი.

კაცი!! იშვა ბრძოლისათვის,
მოძმეთ გვერდში დგომისათვის,
ცხოვრების წესის დამცველი,
გულწრფელი მასწავლებელი.

2019

გელოდი ფოცხიშვილს

{ქართული ქორეოგრაფიის რაინდი}

ხელოვნების ამაგდარმა,
ქართული ცეკვის მაესტრომ,
ერის კულტურის აღმავლობისთვის,
მთელი მსოფლიოს გული დაიპყრო.

ქორეოგრაფიის დიდმა რაინდმა,
უცხოეთს ამცნო ცეკვის პლასტიკა,
ანსამბლ "მეტეხი"-ს წარმატებებმა
ქართულ კულტურას- აღმასვლა მისცა.
მიღწევებს მრავალს კავალრობს,
კაცი გამრჯე და ქებული,
ეროვნულ აკადემიას
გვერდით ყავს დიდი რჩეული.
იდიდოს მისმა ოჯახმა,
შექმნა -გაზარდა აკადემია,
ცეკვის სამეფო ბალეტმა
ვარსკვლავებს რომ მიაღწია.
ხელოვნების ამაგდარმა,
ქართული ცეკვის მაესტრომ,
ერის კულტურის აღმავლობისთვის,
მთელი მსოფლიოს გული დაიპყრო.

2020

წარჩინებული!!!

მივბაძოთ თამარს -
ერთგულს და ალალს,
მშრომელს უზადოს
ყველასთვის ნანატრს...
საქმეში ძლიერს
ჭკვიანს, ხმამაღალს,
მებრძოლს და შემტევს,
ყველგან ცნობს მავანს...
მჩაგვრელს ვერ იტანს
მტერს ებრძვის მარად,
თუკი დასჭირდა
შეხვდება დარად.
ერთგულს შეხედეს,
გზა დაულოცეს,
წარჩინებისთვის -
ჯილდო უბოძეს...

გამორჩეულო !!
„სუფთა- მდინარე"
ქვეყნად - მართალო!!
მარად იხარე.

ჯილდო დამსახურებისათვის
2020

ედუარდ სანაიას !

სიმაღლეს რომ მიაღწიო,
გარჯა უნდა წვალება,
დიდკაცობის მწვერვალზე სვლას,
ბევრი რამის სწავლება.
არ ეშლება ამ კაცს ხალხთან,
გვერდზე ყოფნა მიდგომა,
ღირსების მატარებელია
ყველაფერში იგრძნობა.

არ შურს სხვისი წარმატების,
იქეთ ლოცავს მიღწევებს,
ხელს შეუწყობს აღმასვლაში,
ყველგან თესავს სიკეთეს.
        სახელი აქვს შესაშური,
        ხალხთან ურთიერთობაში,
        ყველას უყვარს პატივს სცემენ,
        "კაცად" ევლოს ცხოვრებაში.
ოჯახი ჰყავს მართლაც კარგი,
ახლობელთა დიდად მარგი,
სამეგობრო - საახლობლო
დახვეწილი მზით ნაქარგი.
        ჯიშ - ჯილაგით! ზრდილი მოდგმის,
        მეგრელების ბრენდი "წიე",
        ვისაც არ გწამთ ჩემი სიტყვა -
        ყველამ იქეთ ... ჩაიწიეთ.

2004

წარმატებული

გმირი ! მაშინ ხარ, როცა გაფასებს ირგვლივ
სამყარო,
თუმც ამ ღირსებას ეწირება დრო, სათაყვანო.
გამოგარჩევენ უამრავში - წარმატებისთვის,
კვლავ იკრებ ძალას მომავალში გამარჯვებისთვის.

გამოწვევა გხვდა საპატიო, როგორც არასდროს,
გეძლევა ძალა წარმოჩენის - იპყრობ სამთავროს.
ჩანს !! ზოგი ხედავს სახეს მართალს, ერთობ
ღირსეულს,
გზა შეგთავაზეს წინსვლისათვის ვით გამორჩეულს.

ნათლად შეხედეს შენგან შექმნილ სივრცეს
მითიურს,
პატივი დასდეს შრომას, გარჯას - ნათებას მზიურს.
დადგა დრო-ჟამი, რომ ამაღლდე, დიდხანს იხარო!!
მიღწევა ნახო ცხოვრებაში და არ იდარდო.

ვინც კი ჩამორჩა ქცევის ნორმებს და შორს
წინხედვას,
ის ახლა ელის სამომავლოდ კარგის მიღწევას,
ღმერთმა ინებოს გაუმართლოს მათ
თვითდინებას,
ხალხი არასოდეს არ მიაკლებს ქება-დიდებას.

11.10.2021

ნიკალა ბაღაშვილს

კაცი კახელი, მკვიდრი სახელით,
მრავალი რამის მოწმე -მნახველი,
ერში ცნობილი, ქვეყნის მოყვარე,
ყველას დამხმარე, სტუმართ-მოყვარე.
უყვარს საძმო, თავად სანდო
კეთილია სულსაც განდობს,
კაცი დიდი, ძმობის ხიდი,
უმძიმესი ტვირთის მზიდი.

მეგობარი დასაყრდენი,
ოქროს გზა აქვს გასავლელი,
კაცი ზრდილი, ყოფით თბილი,
მიდგომითაც გულკეთილი.
კინოფილმების დიდოსტატია,
ცდილობ მიუძღვნა დიდი სტატია,
საქმეს თუ უნდა, მუდამ შენთანა,
ნიკალას უყვარს მთელი ქვეყანა.

2020

ლელა გიგაურს

ცაში უცბად გაჩნდა ელვა,
ქვეყნად მოევლინა ლელა,
მზის სადარმა და უმანკომ,
უმალ იწყო აღმა ფრენა.
გოგო არის თვალხატულა,
მართლაც ღირსეული ლელა,
გულმოწყალე, მიმზიდველი-
კეთილი თესლის მთესველი,

აღზრდილია მძლავრ ოჯახში,
სათნო ქალად ვიცნობთ ყველა.
მებრძოლია... ძალზე რიდით,
მის შესახებ ბევრმა ვიცით,
ტალღებს არღვევს ხომალდივით,
ჩანაფიქრის მიღწევისთვის.
ღვთის მოწამე, ხალხთ მოყვარე,
უდიდესი თავმოყვარე,
ყველა სალოცავს ესტუმრა
არ დატოვა ქვეყნად მხარე.
მზადყოფნა გვაქვს პატივი ვცეთ
ჩვენში ბრენდის შემოფრენას,
ოჯახს, წრეს და გარემოცვას
ერთად დავულოცავთ ყველას,
მრავალ სიხარულს ვუსურვებთ,
მართლაც უსაყვარლეს ლელას.

2018

მარიამ კობრავას

{ცისანა ბელთაძის შვილიშვილი}

ქალი, მზისა და მთვარისა,
ნახატი ჩვენი მხარისა,
მსგავსია ანგელოზისა,
თაყვანს ვცემთ ლამაზ "მარი"- სა.

2020

ხევსურეთი გახდა ჭირისუფალი,
ტრაგიკულად დაღუპული 17 ვიზიტორისა.

შატილის სიმკაცრეები

{ხევსურეთში დაღუპულთა ჯგუფს}

სანახავად !!! ყველაფერი ძლიერია,
საოცარი ქმნილებები- მკაცრი მთები,
შეეხები?? კომფორტისკენ გადაქაჩავ !!
აღარ იტანს - ამას უკვე ჭიუხები.

გამოსავალს უნდა ძებნა - ღვთის ჩარევით!!
ვერ იცვლება ბუნებრივი პირობები,
თვალუწვდენელ მთის მასივებს - ცად აზიდულს,
მოვერიდოთ! გავუფრთხილდეთ! ნუ
ვენდობით!!
არ გამოვა... ჩამოწერილ მანქანებით,
ჭიუხებში ექსტრემალურ ტურიზმს ვდგამდეთ,
ვერ აიტანს ამდენ განცდას, ეს სამყარო -
ახალგაზრდებს... თვალუწვდენელ ხევში
ვკლავდეთ.
სანახავად !!! ყველაფერი ძლიერია,
საოცარი ქმნილებები- მკაცრი მთები,
შეეხები?? კომფორტისკენ გადაქაჩავ !!
აღარ იტანს - ამას უკვე ჭიუხები.

25.08.2020

ფ ი ნ ა ლ ი !

კვდება სიცოცხლე, უაზრობის ჩნდება კასკადი,
აღარ გსურს მაგრამ, ყოფა შენი - ხდება მართვადი!
არავის უნდა საღი აზრი, დასკვნა საქმეზე,
მართვის ფუნქციას გაშორებენ, დგეხარ ღრმა ხევზე.
ნუღარ ოცნებობ, შეჩერდება კარზე
მომდგარი,
უფალმა იცის საით მიდის ბედის ბორბალი.
იქნებ იფიქრონ... ნაადრევი კეთდება
დასკვნა,
გამოცდილი ხმა მომავლისთვის იყოს
აღმასვლა.
ამჩნევ ? წარსულში, რომ იარე, გხედავდნენ
"ურდოს",
ფინალში კიდევ ზედმეტობამ იმძლავრა ცუდ დროს!
გამოსწორდება? არ იფიქროთ შორსაა ნავი!
მართალი გითხრათ პასუხს ვერ გცემთ- არა მაქვს
თავი.

2021

მორჩილების მოტრფიალეს !!

ტიპი ითხოვს მორჩილებას,
არ სრულდება თხოვნის ნება,
აქტიურობს მოაზროვნე,
თუმცა მასტი არ ნებდება.
არ გამოვა არაფერი,
მიზანს დაჰკრავს სხვა ელფერი,
თუ, რა ხდება არ ამბობენ,
ნათლად არ ჩანს ყველაფერი.
მოდად იქცა ისევ მოცდა!! ,
რას გადაწყვეტს მოაზროვნე,
თავად ნახავს გამოსავალს,
იგი რატომ შევაღონეთ ??.
ეს პირველად ხომ არ ხდება ??
დასასრულსაც არ აქვს ბოლო,
ვის დაუდგნენ მუხლის ჩოქვით ,
არ იციან ვის ემონონ !!

2021

მისმინე !!!

ყელს თუ იღერ ირემივით,
ალბათ ვინმეს იმედით ხარ!!
დრო გაივლის შეგამცივნებს,
დაინახავ სადაც ზიხარ !!
ნუ დამალავ სახის-ფოტოს,
ყველაფერი ცნობილია,
დღეს თუ არა, ზეგ იხილავ,
ირგვლივ ბევრი ცოდვილია.
გაუფრთხილდი მონაპოვარს,
იგი არის შენთვის დიდი,
კარგად აღიქვი გარემო,
გაიარე წმინდა ხიდი.
ნუ დამალავ რეალობას,
ცხოვრებაში იყავ წმინდა,
ნუ შეიცვლი აზროვნებას,
შენთვის მუდამ ასე მინდა...

ცბიერს მართალი ჯობია,
სამყარო ამხელს უმალ ცუდ ზრახვებს,
შემომხედეო !! ამბობს ჭკვიანი,
ამას ცხოვრება მალე განახებს.

2021

ვაღიაროთ რომ, ასეა...

მოყმემ თქვა ჭკუაშეშლილმა,
გზა გავიარე კლდისანი,
ზნეობამ სახე იცვალა -
დასახა სულ სხვა მიზანი.
შეიბნენ მდედრნი და მამრნი,
ნამუსს აცლიან ერთურთსა,
გაშმაგებული ცეკვავენ -
სხვა სამოსელში ფერხულსა.

საით მივდივართ ნათლად ჩანს,
თითქმის დავკარგეთ სტატუსი,
დაემხო პატიოსნება,
გაფრინდა სინდის -ნამუსი.

2017

სალაღობო!

{ერთობლივი - კახა მუსერიძე}

სინდის-ნამუსის საყიდლად
დილით გავედით ბაზარზე,
ამოყიდული რომ დაგვხვდა,
გადავინაცვლეთ „ვაგზალზე“.
სინდის-ნამუსის შეძენას,
ვფიქრობდით უფრო ადვილად,
თუმცა მიხვდით, რომ ეს ორი
არ იშოვება ადვილად.

გაყიდულია მთლიანად,
კაცი ვერ ვნახეთ საჩინო,
სინდის-ნამუსის პატრონი,
ვინმე რომ გამოაჩინო.
        წახდა ქვეყანა, გაბილწდა,
        კაცი გადაიქცა ქალადა,
        ყველამ დაკარგა ნამუსი,
        ავდარი იქცა დარადა.
ვერსად ვიპოვეთ ვერცერთი,
ვერც მთაში, ვერცა ბარადა,
უნამუსოებს ეძღვნებათ
ჩვენგან მოძღვნილი ბალადა.
        იქნებ გონებას მოუხმონ,
        მამაკაცმაც და დიაცმაც,
        თანაც, კახურად არ გითხრან
        ხშირად რად მიაც-მააცვამთ.

2018

უსაშველო საშველი

ახდა სურვილი- თავში "სა-ხალი",
ტრამვაი გახდა მავანთ - საფარი,
გადის დრო-ჟამი, არ ჩანს ახალი,
მთლად განადგურდა გზა -გასაყარი.
    გაქრა ვაგონთა მწკრივი მრავალი,
    ხალხიც არა ჩანს გზად მიმავალი,
    მგზავრთა ნაკადმა ჭირი მოგჭამათ,
    სხვა ინერგება ახალ- ახალი.
არა გამწევი, ყველგან მავალი,
გაქრა იმედი იქეთ სავალი,
ყველა მისტირის დაჟანგულ ტრანსპორტს,
ვეღარ ბრუნდება მზე - ჩამავალი.
    ვინღა დაეძებს აღმასვლას - ანი,
    უკან ნუ წავა მწყემსი მართალი,
    რომ არ აღმოჩნდნენ მოედნის გარე,
    მშიერ-მწყურვალნი, ალალ-მართალნი.

უგონო ხალხმა, იმძლავრა სწრაფად,
ვეღარ ხვდებიან რას იქმს ტიალი,
მწყემსი რომ ფარას გზად მიატოვებს,
მაშინ იწყება ორომტრიალი.

* * *

უტვინო ცდილობს, სხვა აკონტროლოს
მოირგო ქუდი თავზე სადარი,
უნამუსობა სისხლში გაუჯდათ,
მსგავსს ვერ იპოვით - არსად არ არის.
ისწავლეს წურბლის ყოფა და ჩვევა,
ნიჭიერებას დასცეს თავზარი,
უსაქმურობა წესად გახადეს
და გახრწნილება - როგორც სადარი.
ახდა სურვილი თავში "სა-ხალი",
ვაგონი გახდა თავშესაფარი,
გადის დრო-ჟამი, არ ჩანს ახალი,
მთლად განადგურდა გზა - გასაყარი.

2002

რთული დღე !!

დაცარიელდა ოჯახის სივრცე,
ფიქრმა იმძლავრა ჩვენს გარემოში,
მცირეხნით წევრის ავადმყოფობით,
ყველა აღმოვჩნდით რთულ სამყაროში.
ღმერთმა უშველოს ყველა დასტაქარს,
განსაკუთრებით ქირურგთა იმ გუნდს,
ვინაც გასწია ოპერირება,
სნეულება რომ საბოლოოდ დუმს.
მადლობას ვუხდით უფალს ამისთვის,
მალე მოგვიხსნა სტრესი უძირო,
ჩვენთან დაბრუნდა დიდი იმედი
და დაგვავიწყა ღამე უძილო.

2021

უთანასწორო ბრძოლა დიდგორში
(12.08.1121წ)

მისმინეთ! ამბავს მოგითხრობთ,
მომხდარს ცხრაასი წლისასა,
უთანასწორო ბრძოლის შედეგი
გვანიშნებს რაინდობასა,
ეხება იგი ქართველ მებრძოლებს
და არა ვინმეს... უცხოს - სხვისასა.
ქართული გენის დაპყრობის,
მზადება შედგა დიდგორში,
ნაკრებმა ურდომ თურქ-სელჩუკების
კარავი დასცა გაშლილ მინდორში.

თურქებმა შემოიერთეს
მაჰმადიანთა მთავარნი,
დაიყოლიეს ასევე -
ამირთა დიდი ლაშქარი.
მხარში დაუდგა ყოველი,
ერაყ-დამასკოს ნაზავი,
დაიძრა საქართველოსკენ
მტერი ურიცხვი - საზარი.
მტრის ჯარმა სწრაფად იარა,
ილაშქრა საქართველოზე,
ქალაქ მანგლისის მახლობლად
შეჩერდა დიდგორის ველზე.

თურქებს ჰქონდათ განზრახული
გაევლოთ მთა თრიალეთზე,
ლიხის ქედის გადალახვით
გაემარჯვათ დასავლეთზე,
მოეწყვიტათ დავით მეფე
საქართველოს სხვა მხარეზე.
მოულოდნელი თავდასხმით
გაჩნდა სირთულე მრავალი,
გაძნელდა მობილიზება
მებრძოლთა სრული ამალის.
შეყოვნების დრო არ იყო
ეძებნათ გამოსავალი,
მეფემ ირჩია მტრისთვის დაესწრო -
შეტევა ,,ტყიდან სავალით".
მთიან და ტყიან ადგილებს
ჰქონდა ბრწყინვალე შედეგი,
მომხდურთა ლაშქარს სიმრავლით
ეზღუდებოდა ,,ქმედები“ ,
სტრატეგიულმა გათვლებმა -
მტერს დაუკარგა ეფექტი.

ქართველთა ლაშქრის მძლე მებრძოლებმა
მტერს შეუტია სულ ორი მხრიდან,
ერთმა ნაწილმა მეფის სარდლობით,
ნიჩბისის ხევით - დასავლეთიდან,
ხოლო დემეტრე უფლისწულისგან
ბრძოლა გაჩაღდა დიდგორის მთიდან.

დავითმა დიდი სისწრაფით,
ატარა თავის ლაშქარი,
დიდგორის მთას რომ მიადგა
მტერს აუბნია გზა-კვალი,
დემეტრემ მთის ძირში შექმნა,
მტრის მარცხის - „გამოსავალი".
    დავითის შორსმჭვრეტელობით,
    შეიჭრნენ მტრების ბუნაგში,
    ქართველთა მცირე ლაშქრიდან
    შეძლეს შეღწევა კარავში,
    ხალხის უბადლო ბრძოლითა
    განცვიფრებულა მომხდურთ სარდალი.
ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელდა -
ერთობ გონიერი გათვლით,
ქართველთ მხარეს გამოეყო
ორასამდე მეომარი.
    თურქებს ეგონათ ისინი,
    მათ მხარეზე გადასული,
    გზა მისცეს დაუბრკოლებლად,
    რაზმი აღმოჩნდა ჯერ არნახული.

ქართველთა გულადმა გუნდმა,
ხმალი იშიშვლა უცებ,
მტერი გონებას ვერც კი მოეგო,
უმალ ეძგერნენ დაბნეულ თურქებს.
        დავით მეფემ ისარგებლა
        მომხდურთა არევ-დარევით,
        ბრძოლის არეში ეკვეთნენ ლაშქრით,
        ეს ჩანაფიქრი იყო დამრბევი.
გაანადგურეს უეცრად,
მაჰმადიანთა ნაზავი,
ცხარე ბრძოლების შედეგმა -
ჩააქრო მტრების ვარსკვლავი.

თურქებს ბრძოლის ველზე დარჩათ,
მოკლულ-დაჭრილი დიდძალი,
ხოლო გაქცევით თავის შველისას -
ტყვეები ძალზე მრავალი,
სამშობლოს დამცველთ - სიმდიდრე
"აურაცხელი ნადავლი".

დავითის მხედრულმა ნიჭმა,
სამშობლოს მცველთა მხნეობამ,
დიდი გამარჯვება მისცა,
ჩვენი ქვეყნის უძლეავ ზეცას.

სწორედ ამ ბრძოლით დამტკიცდა
საქართველოს ძლიერება,
აღმოსავლეთის ქვეყნებში
ვერ ნახავდნენ იმ დროს ... ერთსაც.

* * *

იყო ასეთი ერთი!
და მასთან იყო ღმერთი,
კაცი იბრძოდა მკლავით
არ იყო მაშინ დენთი.

გააფრთებული მტრების შემოჭრა
აღარ წყდებოდა ქართველთ საზღვრებში,
თავდაცვის გარდა ბედმა არგუნა
ებრძოლა დავითს უცხო მხარეშიც.

უკიდეგანო ტვირთი,
მეფემ დაძლია ქვეყანად
გაანადგურა მტრები
მრისხანე მეტისმეტად.
        სტრატეგიების ოსტატს,
        ჰქონდა ძლიერი ნიჭი,
        მას შენატროდა ყველა
        შემტევი იყო - ვიცით.
დიდგორი იყო მთლად საოცრება,
ოსმალთა ურდო აღიქვა ზიზღით,
არ შეეპუა, ნაკლები ძალით,
ხევი აავსო ჩვენი მტრის სისხლით.

2021

ანტიკური ქალაქი ვანი
(საჩინო)

უძველეს წარსულს ვეხმიანებით,
ძველი კოლხეთის - ერთი ქალაქის,
იგი ეკუთვნის ანტიკურ ხანას,
ამოუცნობი მრავალ ქარაგმის.
მნიშვნელოვანი ქალაქი ვანი,
ადრე აყვავდა, ძალზე განახლდა,
იმ უძველესი ტიპის ქმნილებით
რისი ნაშთებიც-დღესაც მრავლადა.

ნათლად ჩანს მის დაარსებას,
ხელი შეუწყო დრომ და გარემომ,
დასახლებათა უძველესმა შტომ,
პირობა შექმნა ერთობ საერო.
ერთ-ერთ შემქმნელად ითვლება -
ციხესულორი, გორა, თუ კეჭინარი,
ინაშაური და ბაგინეთი,
სულორ - ძულუხი და ზეინდარი.
გვერდით, თან ედგათ ძლიერი მხარე -
ფერსათ -ზეკარი, ბაღდათი, ბზვანი,
მიუხედავად ყველა თქმულისა,
დიდი მშობელი - თვით გახლავთ ვანი.
ისტორია, თუ ნათლად ვერ ამბობს,
სრულად აიხსნას - კიდევ ვინ არი ...
ეჭვი არ ჩნდება, რომ ისე დარჩა,
სხვა დასახლების გარჯა -მიზანი.
შუამთა, დიხაშხო, ამაღლება და ჭყვიში,
მუქედ -გადიდი, ტობანიერი,
მწვერვალზე მდგარი - ონჯოხეთი, თუ
ყუმურის ხევი ძალზე ხნიერი.

ნაქალაქარი ანტიკურ ხანის,
ვანში შეიქმნა მცირე გორაზე,
არ უჭერია მას დიდი სივრცე,
თუმცა "ბატონობს" ირგვლივ ყველაზე.
მისგან კარგად ჩანს - რიონის ვაკე,
კავკასიონიც თვალისჩინზე ზის,
მარჯვედ ხდებოდა გაკონტროლება -
ვანზე გამავალ "საქარავნო" გზის.
გზამ, მომავალმა ინდოეთიდან,
კასპიის გავლით - კავკასიაში,
სავაჭრო ქსელის განვითარებამ,
სიკეთე თესა - იმ დროს, შავ ზღვაშიც.
არქეოლოგთა დასკვნის მიხედვით,
ნაქალაქარი უძველესია,
იგი მოიცავს ძველ წელთაღრიცხვას,
მერვე - მეექვსე საუკუნისას.
ნიშან - სვეტები ანტიკურია,
გათხრებითაა აღმოჩენილი,
კერამიკული ფრაგმენტებითა -
ყველა სამარხი წარმოდგენილი.

ქალაქობის დრო, ორად იყოფა,
ძველ წელთაღრიცხვის, ექვსიდან - სამით,
ხოლო მომდევნო -პირველს მოიცავს -
"საუკუნეებს"... სწავლულთა გათვლით.
საწყის ეტაპად განიხილება -
ხისგან შექმნილი ნაგებობები,
კლდოვან ქანებში ამოკვეთილი
სამსხვერპლოები, საკულტოები.
შექმნილ - კულტურულ ფენებში,
აღმოჩნდა საგანძურები -
ჭედური დიადემების,
ნატიფი სამკაულების,
ნიმუში ხელოვნებაში -
ჯერ არსად მიგნებულები.
ნაპოვნი ძველი სიმდიდრე,
კავშირს ასახავს ბერძნულ მხარესთან,
კულტურას ეხებოდა თუ
ეკონომიკურ არესა.
ქალაქი ვანი როცა ყვაოდა,
გააჩნდა მყარი რაკურსი,
სამეფო ცენტრი დაფუძნდა,
კოლხეთის მხარის სტატუსით.

ვანში არქეოლოგიური გათ-ხრების დროს აღმოჩენილია თა-მადის ბრინჯაოს ქანდაკება ყან-წით ხელში,რომელიც თარიღ-დება ძვ.წ.მე-7 საუკუნით. ე.ი. ამ დროისათვის საქართველოში უკვე კარგა ხნის წინ ჩამოყალ-იბებული იყო ღვინის სმის კულტურა.

ვანი, გოგირდის აუზები

აღზევდა, ცნობდა-ირგვლივ სამყარო,
მოხვდა წამყვანთა სიაში,
საქვეყნო საქმე წყდებოდა
არსებულ რეზიდენციაში.
მესამე საუკუნეში,
გარდაქმნა მოხდა საოცრად მეტი,
ცივილური გზის მონახვით,
ვანში შეიქმნა - სატაძრო ცენტრი.
გათხრებით აღმოჩენილა,
გალავანი და კედელი,
დიდი კარიბჭე ხუროთმოძღვრული,
შემონახული - მთლად, ძველთა-ძველი.
მრგვალ ტაძარს, თუ საკურთხეველს,
და სხვა საკულტო, ქმნილებებს,
კონტრფორსებიან ნაგებობასაც,
ვეღარ შეუცვლით ძირძველ პირობებს.
გათხრისას ნაპოვნი არის,
მონუმენტური თავი ლომისა,
ქმნილება ქალ - ღვთაებისა
შემკული თავი სვეტისა.

ქანდაკებანი ბრინჯაოს,
ნიღბები ნაირსახისა,
კერამიკული ნივთები
ადგილობრივი მხარისა,
ასევე ბერძნული მოდგმის
დამკვიდრებული - ჟამისგან.
    მცირე ქვეყანამ ბრძოლით იარა,
    ძლივს მოაღწია ახალ ერამდე,
    აღზევებულ ვანს, ბუნებრივია
    მტერი გაუჩნდა ამ ქვეყნაზე,
    და იგი მთლად განადგურდა,
    ნანგრევი დარჩა კუთვნილ კერაზე.
საუკუნესა ცხრამეტში,
ყურადსაღები გამხდარა ვანი,
არქეოლოგთა კვლევა - ძიების,
პოტენციური წყარო - ფლაგმანი.
    ფრანგ მეცნიერს - მარი ბროსეს,
    იმერეთში სტუმრობისას,
    მიართვეს კაცის ბიუსტი,
    თმიანი წვერებიანი.

არწივისებრი ცხვირის იმიჯით,
სარდონიკული სიცილით,
გამოკვეთილი ნაკვთებით
და უზადო სახის - იერით.
        იგი ნაპოვნი ყოფილა,
        საჩინოს ერთ- ერთ საფლავში,
        ბიუსტის ადგილსამყოფი
        დღესაც არ გახლავთ ათვლაში.
გაზეთ „დროების“ სტატიით,
აქ წვიმა ისე არ წავა,
რომ ნიაღვარმა გორიდან
არ ჩამორეცხოს რაღაცა,
ოქროს ნივთები სხვადასხვა,
ხანაც ძეწკვები - ბეჭდები
და ხანაც კიდევ - სხვარაცა.
        დაკვირვებით და შეხედულებით,
        აქ იქნებოდა უხვი სიმდიდრე,
        სწორედ ამ კუთხით და თავად ვანით -
        დაინტერესდა დიდი ექვთიმე.
იმ დროს, დაიწყო პირველი გათხრა,
მაგრამ პროცესი შეწყდა უმალვე,
მის განახლებას წლები დასჭირდა
და შედეგები დაიდო მალე.

ვანის გათხრების მამად წოდებულს,
დიდ მეცნიერს და მოღვაწეს,
ბატონ ოთარ ლორთქიფანიძეს -
უფალი ღმერთი მუდამ ფარავდეს.
არქეოლოგიურ მუზეუმს,
მალე აძლევენ წინსვლის გზებს,
იქმნება ისტორიები,
ბარდება საიმედო ხელს,
იგი დაფუძნდა ახლო წარსულში,
უახლოვდება უკვე - ორმოც წელს.
დაფუძნება წილად ერგო,
ექსპედიციის ხელმძღვანელს,
აკადემიკოს, სწავლულ მეცნიერს,
იმავე ლორთქიფანიძეს.
თანამედროვე მუზეუმს,
წილად ხვდა ახალი სახლი,
მას არ აკლია კეთილმოწყობა,
ფონდ -საცავების მყარი ნაზავი.
ექსპოზიცია თავად მოიცავს,
ძალზე საოცარ ქმნილებებს,
ოქრო - ვერცხლის და ბრინჯაოს ნივთებს,
იგი იზიდავს მეტად ბევრ მნახველს.

ინტერესს უქმნის მრავალ მომკითხავს,
უცხოელია თუ სხვა ვიზიტორი,
აღტაცებასაც ვეღარ მალავენ,
ისტორიებში შორს მჭვრეტელები.
ვანის არეში იხილავთ,
უძველეს ციხე - ნანგრევებს,
„საჩინოს“ ციხე - მშვიდობის მთაზე,
„სებეკას" იქვე - ცენტრიდან გზაზე,
ხოლო "ყუმურის" ციხე -სიმაგრეს,
ნაგებსა მაღალ გორაზე.
საუკუნეა, ყველა საუბრობს,
ვანში არსებულ - ხალხის თეატრზე,
მის ისტორიას მრავალი იცნობს,
არასდროს იდგა ხალხისგან განზე,
თავდაპირველად წარმოდგენები
იმართებოდა ...
საცხოვრისების - ვრცელ აივნებზე.
სარწმუნოების მიმართულებით
ვანი ყოველთვის უფალთან არის,
ტრადიცია და სულის სიწმინდე,
ვანელებისთვის მუდმივად ჰყვავის.

ვანის ოთხთავი



* * *

ვანში, ყოველ წელს აღინიშნება,
დღესასწაული სახალხო,
სახელით „ვანელობაა“,
რწმენით კი - "ხშირად რომ ნახო".
ამ დღეს იწვევენ რჩეულ ხალხს,
სხვადასხვა სფეროს მოღვაწეს,
მათ მიეგებათ პატივი,
და უწოდებენენ (" საპატიო - ვანელი")
ვანელ ეზოპეს.

2016 წლის ორი ივნისი....
ვანის საპატიო მოქალაქეთა შორის დასახელდა ყუმურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ქტიტორი **ელგუჯა ადეიშვილი.**



წილად მხვდა ბედნიერება,
ვმდგარიყავ რჩეულთა მხარში,
მრგებოდა დიდი ტიტული
("ვანის საპატიო მოქალაქე")-
ამაღლებული წოდების რანგში.
მადლობა უფალს ამ
დღისთვის,
ამ დიდი წყალობისათვის,
ვანი დალოცოს უფალმა
ბოძებულ სიკეთისათვის !!

2021

თბილისი ჩვენი!



თბილისი -ბუდე კავკასიისა,
დედაქალაქი ქართველთ მოდგმისა,
ასაკი მისი თექვსმეტს აჭარბებს,
სიძველის კუთხით - საუკუნითა.
    იწყება იგი მეოთხით,
    მუდამ იქნება უფლის მეოხით,
    დღემდე ცენტრია იდენტობისა
    და შემკრებია ქართველობისა.
ბევრი რამ გადახდენია,
მტერი მრავალგზის დამუქრებია,
თუმცა გმირების თავგამოდებით,
იგი უკანვე განუდევნია.

დიდხანს იყო დაპყრობილი,
სულთა - მხუთავი მტრისაგან,
მაგრამ მაინც არ ტყდებოდა,
ზეობდა მადლით ღვთისაგან.
ბიზანტიელნი, ოსმალნი,
ასევე სპარსნი თუ რუსნი -
მტრად მოდიოდნენ გროვებად,
უმალ ხდებოდა შემობრუნება,
ბოლოს რჩებოდნენ მოყვრებად.
იკრებდა ყველა ჯიშსა თუ მოდგმას,
უამრავ ენას - სარწმუნოებას,
უცხო კულტურის გათავისებით,
აღწევდა მრავალფერობას.

იშვიათია ამქვეყნად იყოს,
სხვაგან ასეთი ქალაქი,
უმტკივნეულოდ, ერწყმოდეს ერთად,
ძირძველ და მომხვდურთ, რწმენა - სანათი.
მშვიდი გზა იყო მუდამ გავლილი,
ერთად იღწვოდა სალოცავები...
მეჩეთი და სინაგოგა,
არ იყო გვერდზე მდგარები.

კათოლიკეთა ტაძრებში,
არ იხშობოდა კარები,
იღებდა მრავალ მომლოცველს,
არ სჭირდებოდათ ფარები.

მართლმადიდებლურ ეკლესიებში,
ზეობდა წირვა და ლოცვა,
მირონის გადმოდინება -
ურყევი სარწმუნოება.

დედა-თბილისი, ყველა სიკეთის -
იყო მფარველი მარადჟამს,
ამ ტრადიციას თბილისელები
სულ გვერდში ედგნენ დარაჯად.

სამოცი წელი გავიდა,
როცა ვიხილე თბილისი,
ახდა ბავშვობის ოცნება,
მახსოვს თვე იყო ივლისი.

დავიწყე მისი შეცნობა,
რა დრო დასჭირდა ვინ იცის,
ცაზე მაღალი აღმოჩნდა
ვუწოდე "ჩვენი თბილისი".
თბილისი მართლაც საოცრებაა
და გააჩნია მას დიდი ხიბლი,
სამყაროს მშვენება არის,
და სიყვარულის ურღვევი ხიდი.

თბილისი მარგალიტია,
სილამაზით მრავლის მთქმელი,
მეგობრობის სამჭედლოა,
სიძულვილის ხელშემშლელი.



ვეღარ ნახავ მსგავს კულტურას,
მსოფლიო რომ ასჯერ ნახო,
საოცრებებს ნახავ მაგრამ...
გსურს თბილისში დაესახლო.

2020

ეთნოგრაფიული გუნდი „დუცხუნი"-ს მომღერლებს !!

ქვეყნად განთქმული ნადური
უნდა ისმინო ყანიდან,
მომღერლები გამოაკლდათ -
შესავსებია თავიდან.

მცდელობა აღორძინების -
რადგან ვერ შედგა ადრიდან,
ისევ შემოვა სხვა ძალა -
გუნდი იმღერებს მარნიდან.

წასულ წევრებს მოვიგონებთ,
მივაგებებთ სასმისს სანთლით,
უძველესი სიმღერებით
კვლავ დავტკბებით -ჭერის ახდით.
        გივი ჭაფოძის კუთხეში,
        ამ დალოცვილი მხარიდან,
        შეხვედრებზე მიგვიწვევენ -
        სია შედგება ახლიდან.
ამბერკი მინაშვილისგან,
სიბრძნეს იღებდნენ - სიკეთეს,
სუფრასაც ზღაპრულს გაშლიდნენ,
მომავალს ქმნიდნენ უკეთესს.
        ტედალი ჯულაყიძესთან -
        ხშირად ელტვოდნენ ყურძნის წვენს,
        ხრიკით სვამდნენ შარბათ ღვინოს,
        ერთად მრავალ წელს ილხინეს.
ამირან ადეიშვილის -
ტკბილ სიმღერას რომ ისმენდნენ,
სუფრის ტრფობით - უფლის მადლით,
ქმნიდნენ საოცარ სიმშვიდეს.

უშანგი, მირონ, დურმიშხან,
ჩვენი კიკოლი, ჭაჭული,
ღვთაებრივ ჰანგებს გვჩუქნიდნენ,
სიდინჯე ჰქონდათ რაჭული.
ზოგი, ათვლას რომ ემდურის,
თაყვანს სცემენ - ბებურს, შოთას,
ერთ ოჯახში გაზრდილ ლომებს,
ულოცავენ კეთილ მოდგმას.
ჯულაყიძეთა დიდი მოდგმიდან,
ხშირად ვახსენებთ განთქმულ ვაჟკაცებს ...
როსტომს, გიორგის, ჯიმშერის, შაქროს -
უფალი ლოცავს იმათ ოჯახებს.
პატივს მივაგებთ როსტომს, ნოდარის,
რომ ამშვენებენ მშობლიურ მხარეს,
და მომავალში ეს ორი კაცი,
„დუცხუნის“ სახელს კვლავ აამაღლებს.
ცხვარაძეებში - შალვას, ნიკოლოზს,
ჭათოძეებში - რომანს, ბიჭიკოს,
კეთილი საქმის კეთებისათვის
მათ მომავალმა მუდამ ილხინოს.

ძველ-ძველ სიმღერებს სულს შთაბერავდნენ,
ხალხი არსებით ყუმურის შვილნი,
ამ დიდ სამყაროს გვერდს უმაგრებდა
კარლო, განთქმული თვალაბე{ი}შვილი.
        გუნდი წინა მიღწევებით,
        მწვერვალებზე ავიდა,
        უფლის ნებით, მგალობლებით -
        იგუგუნოს ახლიდან.
ჩათვალეს! იყვნენ ვარსკვლავის ღირსნი,
იგი აღნიშნავს, სახელს - დიდებას,
პატივს მივაგებთ ყველა იმ მოკვდავს,
ვინაც გზა მისცა დიდ აღმოჩენას.

        საამაყოა ჩვენი მხარისთვის,
        ფოლკლორს ყუმურში, რომ აქვს
                ვარსკვლავი,
        დამისახელეთ ამ ქვეყნაზე,
        კიდევ სად მოხდა მსგავსი ამბავი.

2020

არწივთა ტანდემი

წარმატების სიმბოლოა -
არწივი ძლიერ ფრთიანი,
შორსმჭვრეტელი თვალებით და
შემტევი კლანჭებიანი,
ტანდემში იწვევს თანასწორს -
ერთიანდება მიზანი.

ალიონზე აფრინდება ზეცად,
შემოუვლის ჩვეულ სივრცეს მედგრად,
თვალს ადევნებს ლაჟვარდოვან ციდან,
მოკეთეს და მომხვდურს ყველა მხრიდან,
თუკი ჩათვლის - მსხვერპლს პასუხს სცემს
მშვიდად.

დაისიდან აისამდე
იგი მუდამ ბუდობს ფხიზლად,
ალიონზე უერთდება,
ტანდემს რჩეულს -წმინდას,
მზადებაა ფრენა გადაწყვიტონ
თვალუწვდენელ მწვერვალებზე - ფხიზლად.

არწივი როცა ცაში ნავარდობს,
ცის კაბადონი შველას გთავაზობს,
გარემო იწყებს გამოფხიზლებას,
შემოდის წინსვლა - ხალხთ სადიდებლად.
თავად არწივი, ფრინველთა მეფე,
ბუნებამ შექმნა დიდი ქმნილება,
სანიმუშოა იგი ყველასთვის,
როგორ მოეწყოს ბრძოლით ცხოვრება.
იგი არ იცვლის კანს ზოგის მსგავსად,
შემოსილია მწყობრი ბუმბულით,
დახვეწილია არსება მისი,
მებრძოლი სულით შემტევი გულით.
არწივი ცხოვრობს - მეფურად,
განსხვავებული წესით - განრიგით,
არასდროს გამოირჩევა
დიდი სიფრთხილით - თავრიდით,
საუკუნესაც აჭარბებს
არსება მისი ხალისის,
დაუძლურების შემდეგაც,
სიტყვა კვლავ ეთქმის თავისი.

როცა არწივი ცაში ნავარდობს,
ცის კაბადონი სიცოცხლესა გრძნობს,
გარემო იწყებს გამოფხიზლებას,
შემოდის წინსვლა - ხალხთ სადიდებლად.

2019

* * *

ესაა ჩემი სამყარო -
სულის სიმაღლე ნამდვილი,
ღმერთმა არა ჰქნას ოდესმე -
მასთან გამიწყდეს კავშირი.

ფიქრი ყოველთვის მაწუხებს,
მერანს შევაბა აღვირი,
თავს მოვუწოდებ მუდმივად -
შევძლო ყუმურში სვლა-ხშირი.

2020

ფიქრი წყლის პირას!!

{მდ. ყუმურთან }

ეშმას განვდევნი რა ჟამსაც!!
პატივს მივაგებ კარგ ხალხსა...
ჩამოვიშორებ ბოროტებს,
ცხოვრებას შევქმნი ახალსა...
თვალებს გავახელ აწ მაინც,
ღირსებს !! თაყვანს ვცემ მარადჟამს,
ჭკვას, რომ მოვუხმობ ისიც მწამს,
გავარჩევ კარგს და ნაძრახსა...
ეშმას ავცდები სხვასაცა,
პატივს მივაგებ კარგ ხალხსა...
ჩამოვიშორებ ბოროტებს,
ცხოვრებას ვიწყებ ახალსა...
2020

მიტოვებული სახლი ჩემი

{რთული შედეგებით}

მერცხალი, უმალ შეწყვეტს მოთვრენას,
როცა სახლიდან მიდის მფლობელი,
ვარკვევ- რა ხდება, ვეღარ ავხსენი,
ამიტომ გავხდი - სევდის მპყრობელი.
ათი წელია არ მოთვრენილა,
მერცხალი სახლში, ზათხულის ელჩი ,
მიზეზი მხოლოდ ის ფაქტი გახლავთ,
სახლში არ არის - მისი მფლობელი,
გაგებით ვხვდები ბუნებრივ პროცესს
და ამ მიზეზით ვერავის ვერჩი.

ვუძღვნი მშობლებს (დედას)
3-8 მარტი 2021

კეთილ ადამიანს

ძმაო ძმითა ხარ ქებული,
ცხოვრების თავდადებული,
კითხვა-პასუხის ოსტატი
ტოლებში გამორჩეული.

2020

* * *

ანგელოზს ემსგავსებოდე,
უფლის წყალობა გშველოდეს,
ბედნიერება მოგეცეს,
მხნეობა არ მოგკლებოდეს.
ქრისტესმიერად გეცხოვროს,
სახელოვანი გრქმეოდეს,
ავსებდე წმინდა სამყაროს,
დიდი კაცობით ზეობდე.

ანგელოზს ემსგავსებოდე,
ცაში ვარსკვლავებს წვდებოდე,
იღწვოდე სიკეთისათვის,
კეთილშობილი ხდებოდე.

2021

კარგი და ცუდი !?

ზოგჯერ ! იცვლება
        სამყარო - მშვიდი,
უმალ იშლება
        ოცნების - ხიდი,
რადგან ! არსებობს
        შორს ხედვის ნიჭი,
გზა გამოვნახოთ
        მომავლის - დიდი.

1995

ბრძოლა!!

ესაა!! წინსვლა
და წარმატება...
ბოროტი ჩვენთან
რომ ვერ დადგება.
თუ, მოვინდომებთ
განვდევნით ეშმას !!
ეგ ცხოვრებისთვის
გამოგვადგება...

2021

სინანული

მონატრება გამოავლენს,
ამქვეყნიურ სიყვარულს,
დავიწყებას აცამტვერებს,
სულს ამაღლებს შელახულს.

მოვერიდოთ გულის ტკენას,
ნუ ვიკადრებთ ზედმეტს- ცუდს,
დრო გავა და გავიაზრებთ,
რას ვერჩოდით დამთბარ გულს.
დიდი ბრძოლის გადატანით,
როცა გავხსნით დახშულ სულს,
შეერთება გზას ანათებს,
დროს ვიხსენებთ დაკარგულს.
არ დაიშვას მომავალში,
უმიზეზოდ ვსპობდეთ გუნდს,
უნდა მივხვდეთ უგნურებით,
ბევრს ვახარებთ, დრო კი დუმს...

2021

ნ ა ც ნ ო ბ ი

ერთმა ცნობილმა არსებამ,
მოიწადინა განდგომა,
გვირაბში ვეღარ შევიდა,
ხალხთან ისურვა დადგომა.
ეძება მხარის დამჭერი,
აღარ მიაგეს თანხმობა,
სულის დახშობის მიზეზით,
მასამ შეცვალა განწყობა.
წრეში უმალვე გაჩნდა განწყრომა,
არ მოელოდა თავად არსება,
ოხ!! ღმერთო ჩვენო - ვინ დგას ცოდვაში,
დახმარებოდა დროზე განგება.
მცდარი ქმედება დასანანია,
მას დიდი ქონდა ჩვევა - უნარი,
ვის მოუსმინა - ვინ აიყოლა,
განსაცდელშია თვით მეომარი.

იქნებ დღე დადგეს გაცისკროვნების,
უფალმა ხელი გამოუწოდოს,
გზა აირჩიოს ჭეშმარიტების,
ღმერთმა ზეციდან ლოცვით უშველოს...
    რწმენამ შეავსოს გზის მაძებარი,
    გამოსწორების ქონდეს გონება,
    გაითავისოს ყველამ კუთვნილი,
    რომ აღარ დარჩნენ ქცევის მონებად.

2020

კაცია ადამიანი ?!

სახე იყო ..."ჯუჯა" გახდა,
განვლილი გზა "გადაფასდა",
უღალატა აზროვნებამ,
დაბრმავებას ვერ გადარჩა!
არ გათვალა რეალობა,
არენაზე მარტო დარჩა...

2021

* * *

გაუფასურდა ურთიერთობა,
დამკვიდრდა ფლობის ჰეგემონია,
რომ არ გაგვიქრეს ბრძოლის უნარი,
უნდა ვიფხიზლოთ - ასე მგონია.

2021

ასეა ეს!

წინათ ვიყავი რჩეულ ორხევში,
გადავიჩეხე განცდის მორევში,
ფიქრით აღმოვჩნდი ძველ არენაზე,
არ მიფიქრია ახალ ერაზე !!
ნუთუ გაფრინდა, ის დრო, ის ჟამი??
არ მსურს ვიფიქრო არც ერთი წამი!
მინდორს არ უნდა მლაშე ზღვის წყალი,
მდელოს უხდება სუფთა ცის ნამი.

2021

* * *

გარკვეულ დროს ლიმონმა რომ იყვავილა,
განიმსჭვალნენ უამრავი იმედებით,
რჩეულმა ხემ მისცათ კარგი მოსავალი,
თუმცა შეწყდა გაუთვლელი შედეგებით "

2021

* * *

ალეგორიით მიდგომამ,
დააშრო წყარო მონდომებისა,
ერთზე ვსაუბრობთ და სხვას ვგულისხმობთ,
ხმას ამოღება რომ არ ეღირსა...

2021

* * *

ბედნიერება მხოლოდ ის არის -
ბუნებით რომ ხარ თბილი ისარი,
რომ დაჯილდოვდი უფლისგან მისით -
ასრულებულა ტკბილი სიზმარი.
ყველაზე დიდი სილამაზეა -
მოჭარბებული როცა ის არის,
ჩემპიონობა თავისით მოდის -
კითხვა არ ჩნდება ნეტავ ვინ არის.
როცა გერგუნა რჩეულთ ტიტული -
მაშინ გაბრწყინდა შენი ვარსკვლავი,
აღიარების ბილიკს მიყვები -
უფალი არის შენი დამცავი.
ბედნიერება მხოლოდ შენია -
საამაყო ხარ მე ის გითხარი,
უბრწყინვალესო - მშვენიერებავ!
შენზე მაღალი აბა ვინ არის ?

ქალღმერთის კიბეს ჰყვებოდე -
ანგელოზს ემსგავსებოდე,
შენ როგორც ულამაზესი -
მუდამ პირველი ხდებოდე.

2019

მწარე რეალობა

საქართველოა ქვეყანა -
ხალხი აკეთებს "არაფერს",
მუდმივად ჩქარობს ყოველი -
თავად მიხვდებით "დანარჩენს".

სამახსოვრო 23.10.2021

ზამთარი

ზამთარს ქარიშხალი მოსდევს,
ქარიშხალსაც ზამთარი,
ბაბუ სანადიროდ მიდის -
ჩემი ფიშტო სად არის?
ვინადირებთ დათვზე-მგელზე,
არ დავზოგავთ მტაცებლებს,
ნადირისგან გადავარჩენთ,
ხალხის სარჩოს - ნაწვალებს.

1985

გოგი ბედოიძის ხსოვნას !

კაცი იყო, დიდზე დიდი
შემართების მყარი ხიდი,
ჯიშ - ჯილაგით დალოცვილი
ლხინისა და ჭირის მზიდი.

პატიოსანი ცხოვრებით,
განვლო ოთხმოცდაათამდე წელი,
შექმნა ძლიერი ოჯახი
არ შეშლია ბრძენკაცს ხელი.
უსაზღვროდ პატიოსანი,
მშრომელი მუხლჩაუდგმელი,
იცხოვრა თავის ცხოვრებით,
არ შეარცხვინა მშობელი.
სტუმართმოყვარე უზადო,
სუფრასთან იყო ძლიერი,
კმაყოფილებას ვეღარ ფარავდა
ხდებოდა ზე-გონიერი.
უფლის სახლის აშენებას
ჩაუყარა საფუძველი,
დაიწყო და დაასრულა,
სიკეთე ქმნა ხელსაყრელი.
ვერაგ კორონას ებრძოლა,
შეეყარა მძიმე სენი,
გადარჩენის მცირე ხვედრით,
შეუმცირა ლომკაცს დღენი.

დატოვა მისი სამყარო,
სამი ვაჟკაცი და ერთი ქალი,
მრავალი შთამომავალი
საყვარელი მიწა -წყალი.
ღმერთმა სული გაუნათლოს-
მუდმივად სასუფეველში,
დანატოვარს კეთილი გზა,
უფლის მადლი მათ გულებში.

სექტემბერი 2021

სიმღერის ახალი ვარიანტი ჩონგურზე

ვაიბერში რომ ჩატაობს
ქალაქს მოტმასნილი მარო
ახლობლებში ირწმუნება
ქვეყნად ანგელოზი ვარო.

გვერდს უმაგრებს მისი ხროვა -
მაკრინე თუ გიჟი მახო,
ფაქტზე როცა მაასწრებენ,
იფიცება... მზე არ ვნახო...
        დღე და ღამე, ვერ ისვენებს,
        რომ იხილოს „ჩუმი ვახო",
        მოთმინება ეკარგება,
        ოღონდ ცოცხლად ვინმე ნახოს
... ვაიბერით ტკბობას რა სჯობს,
ვინც არ იცის უნდა ნახოს,
ენდეთ მაროს მიმდევრობას,
საიდუმლოც - ვერ გინახონ !...

2018

„ჩაო - ჩაჩაო"

{დარდიმანდის წყაროდან}

მასტი, მიჩანგლეს ოდესღაც,
მუქთახორობის საზრითა,
ცხოვრება სურდათ ძლიერი
სალის კლდეების სახითა.
ტიპი მიჩანგლეს ერთი და,
მამა ყავს დიდი კაციო,
ბევრი ფულების იმედით,
„ვაბშე“ ვიცხოვრებთ აწიო.
ტიპი გაჯიქდა ერთხელაც,
ვერ იყო როგორც რაციო,
სახსრები აღარ შემორჩათ,
რით იხარებენ აწიო.
ტიპი წავიდა ხელიდან,
თითქოს მოძებნა საფარი,
თუ დროზე არ დაფიქრდება,
წაქცევაც ძნელი არ არის.

ტიპი გაფრინდა სხვა მხარეს,
შორიდან იწყო ზანზარი,
ვერ შესძლებს დაბრუნებასა,
მაგას რად უნდა ბაზარი.

2008

ნაქერალი !

როცა ჩაუვლი ნაცნობ ადგილს შენგან
გათელილს,
გაგახსენდება შენი ყოფა როგორც განდეგილს,
რას ფიქრობ მაშინ, ვინმესთან ხარ - თუ იმის
გარე,
თავს ჩაღუნავ და - შენი ყოფა გაწუხებს მწარე !?

მწამს, რომ ძნელია დაივიწყო განვლილი გზები,
გასახსენებლად, თითქოს ეხლა, გონს ვერ ეგები,
ბნელ გარემოში, მინდორ-ველზე ბევრს
ერგებოდი,
დროს არ კარგავდი სრულდებოდა ტრფობის
გეგმები.

"მყუდრო" მხარეში უმეტესად გიყვარდა ყოფნა,
ლაღი ხდებოდი, კონიაკით გიყვარდა როკვა,
აღვირახსნილი... იყო არ იყო მისაღები, ყველას
ხვდებოდი,
შენივე გრძნობით, მაღლა იდექ- მთებს ახტებოდი.

ვინც კი გიცნობდა, არ წამდა შენი, ის მტერი გახდა,
შენი ქმედება წარსულ დროში ყველა ზღვარს
გაცდა.

2009

საბავშვო ლექსის („ყურცქვიტა") წყაროდან!

დაგიცქვეტიათ ყურები,
„ძალად" გიღიმით სახეცო,
კბილებიც დაკრეჭილი გაქვთ...
თუ არ გწამთ, თავად ნახეთო.
ბუნაგის მიმტოვებელნო,
მრუდი გზა ყველამ იხილეთ,
იარეთ სხვის ბაღ-ბოსტნებში,
თანაც ჩანს კარგად ილხინეთ.
სტადიონოს, ჭარხალს, კომბოსტოს!
ნუღარ დახრავდით - ამდენსა,
სპონსორი რომ შეგერჩიათ,
ალბათ გაჭმევდათ ნაღებსა.
არ გაგიმართლდათ როგორც ჩანს,
ყველა აღმოჩნდით „გარეთა",
დრო- ჟამის ფიქსაციისთვის,
„მიწექით" - მჯდომიარეთა!

ერთი ..ადგილი აგეწვათ,
ეგრე ურიგო „ხამებსა",
ნუღარ დაბორგავთ, ნუ წვალობთ,
ჩანს ვერ პოულობთ „მხარესა".
        რისთვის იტანჯავთ სახეებს,
        ნუღარც დაკრიჭავთ კბილებსა,
        გიჯობთ, რაცა ხართ ის იყოთ,
        ოჯახს მიხედოთ - შვილებსა.

2017

ოოო !!

მახსოვს მისი არეული სახე,
ხელოვნურად რომ აჩენდა კიჭებს,
ემჩნეოდა ამქვეყნად არ იყო,
თვალებიდან ისე ყრიდა ჭინკებს.

დაინახეს კვართით ხელში - ისე...
ვეღარ შესძლო შეემჩნია ქრისტე,
დაასრულა დიალოგი მალე ,
ნათლად ჩანდა წყენა ქონდა მტკიცე...
არ ითქვიქრა, რისთვის აილეწა,
რას იზამდა შებოჭილი-ხვალე,
მბორგავ აზრებს ვეღარ მოერია,
და ირჩია წასულიყო - მალე.
მოერია წყენა უსუსური,
ვეღარ მიხვდა არ მიეღო მწარედ,
იგი იდგა ხონჩით ხელში დინჯად,
არ მიაჩნდა ყოფა- ქცევა რამედ.
არ უნდოდა რომ გასცლოდა ეშმას,
ვეღარ მიხვდა - ფაქტი თვალწინ ედგა,
არ ცდილობდა - ბუნებრივად ყოფნას,
ვერ წავიდა დაბნეული ვერსად.

1998

ლხინი !!

ღვინოს ! მაშინ აქვს უსაზღვრო ფასი,
როცა მოყვარე - გვერდით გყავს ასი.
აზრს კარგავს ! ბევრთან ურთიერთობა,
სურვილი ქრება - დაცალო თასი.
ღვინოს უქრება ძალა - სურნელი,
როცა აგირევს, ვინმე სულელი.
სცილდება სურვილს შენში მოვარდნილს,
ლხინს თაყვანი სცე - წყალში გადაყრილს.
ღვინოს ! მაშინ აქვს უსაზღვრო ფასი...
როცა მოყვარე გვერდით გყავს ასი...
სხვა შემთხვევაში ზეიმს შეეშვი,
აზრი დაკარგა - გასწიე სახლში.

1993

შეგონება

ბევრი დაგროვდა გრეხები,
გწამდეთ ყველას არ ვეხებით -
მათვე ვურჩევდით დაფიქრდნენ,
მრუდე ასწორონ შეხებით.

2000

ფიქრი მარტობაში

კარგია ასე მიდგომა,
ყველასთან იყოს მშვიდობა.
არ მინდა ფიქრი ყველაზე,
თავს შევიკავებ ქებაზე.
ჩემთვის ვიქნები ჩრდილის ქვეშ
ღვინოს მივირთმევ ზედაშეს,
მოვიწვევ კეთილშობილებს,
ერთად ვიქნებით მე და შენ!!

2021

რჩეული!

მახარებს კარგთან ურთიერთობა,
აბა მითხარი კარგი ვინ არის ??
ჩემი აზრით და გონებით,
იგი ნამდვილად "ვარსკვლავი" არის !!

2021

ცისკარი!

გიყურებთ, მუდამ დილა ადრიან,
იმედი შენგან ამობრწყინდება,
სიკეთის სხივებს ათრქვევ ყოველთვის ,
ჩანს თანადგომა უხვად იქნება.

2021

დიდი სიხარული

სამომავლო კვირტებს ვეძებ,
ჩემგან შექმნილ ედემ-ბაღში,
მარად მინდა რომ ვიხილო -
წარმატება ''მწერლის'' სახლში.

სხვაგვარია მონდომება,
მეოცნებე - თეთრი რაშით,
გაგრძელდება აღმაფრენა,
გვეშველება ხელის გაშლით.

ბედია თუ უბედობა,
ვეღარ ვხვდები - დღეს, ვის რა სჭირს,
ველოდები მოვლენებსაც,
შემართება როგორ გასჭრის.

შეიცვალა დრო და ჟამი,
კორიფეთა წევრი გავხდი,
სხვა გამოჩნდა ბრძოლის ველი,
სიძნელეებს მედგრად დავხვდი.

ასრულდა დიდი ოცნება,
ღირსეულთა გვერდში დგომის,
პირობას ვდებ არ შევარცხვენ
ტრადიციებს - მწერალთ მოდგმის.

მადლობა ''სახლის'' ყველა წევრს,
ვინაც შემიცნო, გვერდში დამიდგა,
არ გავექცევი არც ერთ სიძნელეს,
მწვერვალზე ასვლას- თუკი დასჭირდა.

2020

იოურის მთა

{ყუმურში}

ცადაზიდული მშვენება,
დასცქერის სოფელს - მდინარეს,
მხედველობიდან არ ტოვებს -
მტერს, მოყვარეს და წინარეს.

მისგან იწყება აისი,
სიცოცხლის გახანგრძლივება,
დიდი იმედით შევცქერით,
ალიონია - თუ ბინდდება.
    გვიტაცებს მისი დანახვა,
    ულამაზესი რამ არის,
    მყარი იმედის მომცემი,
    მსგავსი ამ ქვეყნად არ არის !!
მისგან იწყება აისი,
მზე როცა ამობრწყინდება,
ის მოწმე ხდება დაისის
მზე სადაც ჩაედინება,
ხალხს !! რჩება დიდი ნუგეში -
სამშობლო გაგვიბრწყინდება.

2021

ს ა რ ჩ ე ვ ი:

- აისი ------- 9
- დიდი სურვილი ------- 10
- შენ!!_მორი ------- 11
- შ ე დ ე გ ი ------- 13
- *** (თხები !! იპყრობენ სავარძლებს...) ------- 14
- ხევსურეთი ------- 15
- არის !!! ------- 16
- ი მ ე დ ი ------- 17
- საქართველოს პატრიარქი ------- 19
- რ წ მ ე ნ ა ------- 21
- დ ა მ ც ა ვ ი ლ ო ც ვ ა ------- 22
- დაფიქრდი !! ------- 24
- ფაქტი ჯიუტია ------- 25
- * * * (ლოცვას ვიწყებ დილიდან) ------- 26
- დილის მისალმება !!! ------- 27
- თავსმოხვეული სიტყვებით ე ნ ა დავიცვათ ქართული !!! ------- 28
- მადლიერების დღისადმი !! ------- 32
- ცხოვრების მასწავლებელი !! ------- 36
- ქართული ნაციონალური ბალეტი-"სუხიშვილები" ------- 41
- ზრუნვა აკადემიაზე ------- 44
- ვ ე რ ი დ ო თ ! ------- 46
- ეხება ნაწილს ! ------- 48
- ს ა ბ რ ა ლ ო !! ------- 49
- საცნობი !! ------- 51
- ღ ი რ ს ი ------- 52
- შარლატანი ! ------- 52
- გონჯი ------- 54
- ინტერვიუ ცნობილ რეგვენთან ------- 56

- არ მეშინია სათქმელის!!! ------- 58
- ემიგრანტები ------- 59
- ტარიელ ხარხელაურს ------- 61
- კაცი ბრწყინვალე {ხოზე ადეიშვილს} ------- 63
- კეთილი {ქეთევან ადეიშვილს} ------- 68
- სახელოვანი { ვლადიმერ (კახა) ადეიშვილს} ------- 69
- მარინა კორძაძეს ------- 71
- გივი სიხარულიძეს ------- 73
- გელოდი ფოცხიშვილს ------- 74
- წარჩინებული!!! ------- 76
- ედუარდ სანაიას ! ------- 77
- წარმატებული ------- 79
- ნიკალა ბაღაშვილს ------- 80
- ლელა გიგაურს ------- 81
- მარიამ კობრავას ------- 83
- შატილის სიმკაცრეები ------- 83
- ფ ი ნ ა ლ ი ! ------- 85
- მორჩილების მოტრფიალეს !! ------- 86
- მისმინე !!! ------- 87
- ვაღიარეთ რომ, ასეა... ------- 88
- სალაღობო! ------- 89
- უსაშველო საშველი ------- 91
- რთული დღე !! ------- 93
- უთანასწორო ბრძოლა დიდგორში ------- 94
- ანტიკური ქალაქი ვანი (საჩინო) ------- 104
- თბილისი ჩვენი! ------- 118
- ეთნოგრაფიული გუნდი „დუცხუნი"-ს მომღერლებს !! ------- 124
- არწივთა ტანდემი ------- 128

ა ი ს ი

- *** (ესაა ჩემი სამყარო) ------- 130
- ფიქრი წყლის პირას!! ------- 131
- მიტოვებული სახლი ჩემი ------- 132
- კეთილ ადამიანს ------- 133
- * * * {ანგელოზს ემსგავსებოდე} ------- 133
- კარგი და ცუდი !? ------- 134
- ბრძოლა!! ------- 135
- სინანული ------- 135
- ნ ა ც ნ ო ბ ი ------- 137
- კაცია ადამიანი ?! ------- 138
- * * * {გაუფასურდა ურთიერთობა} ------- 139
- ასეა ეს! ------- 139
- *** (გარკვეულ დროს ლიმონმა რომ იყვავილა) ------- 140
- *** (ალეგორიით მიდგომამ) ------- 140
- *** (ბედნიერება მხოლოდ ის არის) ------- 141
- მწარე რეალობა ------- 142
- ზამთარი ------- 143
- გოგი ბედოიძის ხსოვნას ! ------- 143
- სიმღერის ახალი ვარიანტი ჩონგურზე ------- 145
- „ჩაო - ჩაჩაო" ------- 147
- ნაქერალი ! ------- 148
- საბავშვო ლექსის („ყურცქვიტა") წყაროდან! ------- 150
- ოოო !! ------- 151
- ლხინი !! ------- 153
- შეგონება ------- 154
- ფიქრი მარტოობაში ------- 154
- რჩეული! ------- 155
- ცისკარი! ------- 155
- დიდი სიხარული ------- 156
- იოურის მთა ------- 157

ელგუჯა ადეიშვილი
„ა ი ს ი “

Elguja Adeishvili

„A i s i“

გამომცემლობის
რედაქტორი - მერაბ ჯულაყიძე

მხატვარი - მურმან გელენიძე
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო
აკადემიის პროფესორი

მხატვრული რედაქტორები - სოფიკო ბოლქვაძე
- თინათინ გეგეშიძე

ტექნიკური რედაქტორი - ლუიზა ადეიშვილი

კორექტორი - ნუნუ ადეიშვილი

თბილისი
2021

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2021

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

2021